ძველი გზა

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№1 (304)

1-31 იანვარი
2024

ფასი 1.50 ლარი

გამოდის
თვეში ერთხელ

ბაღათერ არაბული

ზამთრისპირის ესკიზებიდან
N- ს

...ცაზე ილევა მთვარე-იელი
და შავი ღამე გვეშლება თავზე,
შენ ასე ნაზი და მშვენიერი
ამ დამღლელ დღეებს სინათლით ავსებ...
მთებზე ზის თეთრი ფრინველი თოვლის
და ნისლის ფრთებით იფარავს სახეს;
ქარს მოყოლილი შენ ხარ ფოთოლი
და ფოთოლივით თრთი და ცახცახებ...
ჩამოაქვთ ზეცა დეკემბრის ავდრებს
და ზამთრისპირის ქარები ქრიან;
ან მე მოვედი ამ ქვეყნად ადრე,
ანდა შენ გაჩნდი ძალიან გვიან...
....
...ცაზე ილევა მთვარე - იელი
და შავი ღამე გვეშლება თავზე,
შენ ასე ნაზი და მშვენიერი
ამ დამღლელ დღეებს სინათლით ავსებ!..

შეხვედრა
N-ს

...თითქოს დამთავრდა გრძელი ზღაპარი,-
თქვენ ახლა გქვიათ ტკბილი ბებია,
ჭაღარა თმები ჩამოაფარეთ
გარდასულ დღეებს ტკივილებიანს
და სევდიან წლებს, სადაც მარტოდენ
სივრცეს ავსებდა ქარი ხენეში;
თქვენ მშვენიერი ხართ ქალბატონი,
შემოპარული ამ სიბერეში...

სიზმრების ქვეყანა

... ჩვენ დღისით, მზისით ვხედავთ
ჭრელ სიზმრებს,
როგორც ბურანში, ახლა ისე ვართ;
ჩვენ გ ვ ღ ვ ი ძ ა ვ ს,
მაგრამ ყოველდღე ისევ
უ ც ხ ო სიზმრები კვლავ
გ ვ ე ს ი ზ მ რ ე ბ ა...
ათოვს ხეობას და ათოვს კორომს
და მდუმარება აწევს ტყის პირებს;
ჩვენ კი კვლავ ლამაზ
ს ი ზ მ რ ე ბ შ ი ვ ც ხ ო ვ რ ო ბ თ,
სად გაზაფხული მწვანედ ბიბინებს...
შორით დაღლილი მყინვარი გვიმზერს,
ჭალები ზამთრის ნისლით ივსება;
ჩვენ კი...
მ ზ ი თ ა ვ ს ი ლ ს ვხედავთ ჭრელ
სიზმრებს,
უ ც ხ ო სიზმრები კვლავ
გ ვ ე ს ი ზ მ რ ე ბ ა...

ზამთრისპირის ესკიზებიდან

... ვინ გაგიყვანათ,მინდვრებო, ქარში?
ვინ დაგათოვათ თრთვილის ქვირითი?
შემოდით ჩემთან, ლოგინს გაგიშლით
გაზაფხულამდე, ტკბილი ძილისთვის...
და თქვენც, ხეებო, რომ გაწევთ სევდა
და სუსტი ტანი გიჩანთ შიშველი,
შემოდით ჩემთან, შემოდით ჩემთან,
ყველას უკლებლივ გეპატიჟებით...

საქართველოს

... არეულია კეთილ-ბოროტი,-
გაუტანლობით, შურით, ღალატით;
ველარ ვიცხოვრებთ, როგორც
ვცხოვრობდით,
ველარ დავმალავთ, რასაც ვმალავდით...
დღევანდელ დღისთვის პასუხს ვინ
აგებს?
ან მომავლისგან მაინც რას ელი?
მტრის ალყაშია ციხე-სიმაგრეც
და მეციხოვნეც უკანასკნელი...
არც გამკითხავი და არც გამგები,
არც მტრის დამხვედრი არავინ არ
ჩანს,-
შენი კოშკები ბროლით ნაგები
გზად მოთარეშე ყაჩაღებს დარჩათ...
უელავს ღამეს მთვარის ნისკარტი,
ცა გადაშლილა ულურჯეს მინდვრად,
მე კვლავ მიყვარხარ, როგორც
მიყვარდი,
ასე დიადი და ასე წმინდა...

თავის დარდისთვის მოუცლელი...

...უფროსი ვაჟის საქორწილოდ
ლუდი ადუღა გამახელამ,
არაყიც ბევრი გამახადა
და ქვაბ-ჭურჭელი ამოავსო წინ-
წარაქლებით...

სამ დღეს ფქვავდა გამახელა
სალუდე ხორბალს,
სამ დღეს ცხენ-ჯორით
ჭალაშიით ზიდავდა ნაფქვავს
და მზის სხივი დასთამაშებდა ბოროლას
მწვერვალს...

შვიდი დღის თავზე
საქორწილოდ უხმო თემ-სოფლელთ:
გაღმელთ-გამოღმელთ,
პირიქითელთ და პირაქეთელთ,
სისხლ-ხორცით თავის ბიძაშვილებს
და ნათესავ-მოკეთეებს
მთაში თუ ბარში...

მაგრამ, თურმე, ეშმას
არ სძინავ,
სუ იმას ფიქრობს:
ვის რა ავნას, რა უხიმანას,
ვის დღე უქციას უკუნ ღამედ,
ვის ლხინ-სიმწარედ...

გამახელასაც ეგრე მაექც,
შავ დღე დაუყენ —
უფროსი ვაჟის მექორწილეთ როცა
მაელოდ,
უმცროსა ვაჟი, დილისპირზე,
მტრებისაგან მაკლულ მაჰგვარეს...

ძალიან შაწუხდ გამახელა,
ბევრი იშქუნა,
ჭერხოში ჩუმად ივიშვიშა,
თავ კედელს ურტყა —
ყველა სიმწარეს იფიქრებდა,
ამას კი ვერა,
მაგრამ ახლა რაღას იზამდა,
სტუმრები უკვე, საცა იყო, მაადგებოდეს —
ლხინ-ქორწილში დაპატიჟებულთ
მოთქმა-ტირილს ვერ დაახვედრებდ,
იმათ სიხარულს ვერ გაუმწარებდ
და მოქვითინე თავის დიაცს
შაუძახა გასამაგრებლად:
— გეყოფის, ქალო, ეგ გოდება,
მაგის დრო არ გვაქვ,
ეს ამბავ ახლა სოფელშიაც არვინ გაიგას,
ლხინზე მამავალ სტუმარ-მამსვლელ
ჩვენი დარდით არ შავაწუხათ,
ქორწილ მიღებულ წეს-ადათით
უნდა ჩატარდას,
მემრე კი, მემრე, ჩემო დიაცო,
დავჯდათ და ერთად დავიტირათ
ჩვენი ვაჟი,
მტრების ტყვიისგან გულგანგმირული...
შენც დადეგ, მზეო, და დაგვიანდი,
შვილი ეყრება დედ-მამათა...
ორ დღეს ისმოდა საქორწილო
ტაშ-ფანდურის ხმა,
ორ დღეს მღეროდა გამახელა
თავის მძახლებთან,
ორ დღეს ილხენდნენ მექორწილენიც...

მესამე დღეს კი,
როს სტუმრები მიეფარნენ ხეობის
ბოლოს,
გამახელაის მოთქმა-გოდებამ შასძრა
სოფელი...

მხოლოდ მერეღა მოიცალა
გამახელამ თავის დარდისთვის...

მოსისხლეები

...შატილივნების კაც ჰყოლივას
ღილღველებს მაკლული
და შინშის სისხლის ასაღებად
ლეკო ქისტეთს მარტუა წასულ...
და მთელ აულში გამორჩეულ
მოსისხლის სახლს მისდგომივ ღამით...
ბანზე მძინარ გაუკოჭავის
და ფეხშიშველა წინ წამაუგდავ...

ქვა-ღორღზე მავალს
ფეხისგულებ გადასტყავებივ
და სისხლმდინარს კოჭლობით უვლავ...
შასცოდებივ მოსისხლე ლეკოს:
– ვაჟკაცს ღირსება ელახებისავ!
გაუხდავ თავის ქალამნები
და იმისად ჩაუცმევავის...

აეგრ მასულან დილისპირს შატილ, –
ლეკო – ფეხშიშველი,
იმის მტერ კი – ქალამნებჩაცმული...

ბუბა

...დათვისელ ბუბას შვილ მახკდომივ –
მწყემსობისას, სოფლის ჭალაზე
წყალს დაუხრჩვავის...

მწარედ უგლოვავ საწყალ ბუბას
თავის ყმაწვილზე:
თმან დაუჭრიან,
სახე-თორპილნ დაუკაწრიან,
ზედ დარდისა დაუტირებავ:
– ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,
იმის შვილს სხვა სიკვდილ შამაჰყარაო,
მემრ გაიგებდა ის სიკვდილი
ჩემს სიმწარესო...
და იმ დღიდან
წყლის შასმაზე უარ უთქვამ:

– მაგან ბეჩავა შვილ მამიკლავ,
ცოდვა დაიდვავ,
ცოდვიან წყალს კი მე ვერ შავსომავ!..

„სხვას კი რას გამაგაჯავრებ,
წყალო, არ შაგსომ, ტიალო!..“

***

„... ნისლო, მთით გადმომავალო,“
უთქმელო დარდო მთებისა,
რა ამბავია ხევსურეთ,
ახალ რაი-რა ხდებისა?
დამხვედრი მტერ-მოყვრისადა
ვაჟკაც ხვარავინ ჩნდებისა
ანდა თემ-სოფლის შამრცხვენი
უსახელოდ ვინ კვდებისა,
საკარგყმო ვისა ისმების,
იქნება, არც ისმებისა?..
...
ნისლო, მთით გადმომავალო,
უთქმელო დარდო მთებისა...

39-ე საფოსტო ყუთი

რევაზ მიშველაძე

მამაჩემი ვანო სხირტლაძე ექიმი გახლდათ. 1936 წელს ქუთაისში, ჭომაზე, ლამის, საკუთარი ხელით ააშენა ფსიქონევროლოგიური დისპანსერი. ეს დისპანსერი მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. ახლაც მაქვს შემონახული დისპანსერის საზეიმო გახსნაზე (მაშინ წესად იყო მიღებული ყველაფერი ახალი, მათ შორის სასაფლაოც და საგიჟეც საზეიმოდ უნდა გაეხსნათ) მამაჩემის ნათქვამი სიტყვა: „მეფის მთავრობა სულით ავადმყოფებისათვის მხოლოდ მონასტრებსა და საპყრობილეებს იმეტებოდა. ზოგჯერ მათ სამეძაო სახლებშიც ათავსებდნენ. ტანჯვა-წამებისთვის იყვნენ ისინი განწირულნი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიცვალა მდგომარეობა. დისპანსერში, რომელსაც დღეს ვხსნით, ყველა პირობა შეიქმნება საბჭოთა სულით ავადმყოფის მოვლა-პატრონობისათვის. საუცხოო ჰავა, შესანიშნავი წყალი, რაციონალური შრომითი თერაპია — სხვა სამკურნალო საშუალებათა კომპლექსში, შესაძლებელს გახდის თავიანთ საქმიანობას და ოჯახს დავუბრუნოთ ათასობით სულით ავადმყოფი, რომელთა რიცხვიც არნახულად იზრდება მას შემდეგ, რაც დედამიწის ერთ მეექვსედზე წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმის საფუძვლებს. ახლა ჩვენი ვალია თავდადებით ვიმუშაოთ და ყველაფერი ვიღონოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკეთილდღეოდ, რათა გავამართლოთ მშობლიური პარტიისა და მთავრობის დიდის ნდობა“. ათი-თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი მე მაშინ და მამაჩემს კვირაში ორჯერ მაინც დავყავდი დისპანსერის მშენებლობაზე. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო. თეთრი პარუსინის შარვალ-კოსტუმი ეცვა და მაღალყელიანი ყავისფერი ჩექმები. ა. დახედე სურათს, ეს ბარიანი, შუაში, ხალხოსნური წვერ-ულვაშით, 317 მაშინ „ბლანჟეს“ ეძახდნენ, მამაჩემია. თვითონ მუშაობდა — მთავარი ექიმი უბრალო მუშად და მთელი სამედიცინო პერსონალი მშენებლობის დროს გვერდით ჰყავდა ამოყენებული. გახსნის ცერემონიალიც კარგად მახსოვს. ლენტი ჯანმრთელობის კომისარმა გაჭრა. მამაჩემმა სიტყვა რომ დაამთავრა, ხელში აიყვანეს და მაღლა ისროდნენ. ჭკვიანები, რა თქმა უნდა. გიჟები გახსნის დროს იქ არ იყვნენ. პაციენტები მეორე დღეს მოიყვანეს ოზურგეთიდან, ბათუმიდან, ლანჩხუთიდან, ხონიდან და სამტრედიიდან. დახურული მანქანებით მოჰყავდათ. მახსოვს სულ სიმღერ-სიმღერით შემოდიოდნენ ქათქათა პალატებში. ერთი წელი იმუშავა თავის აშენებულ საავადმყოფოში მამაჩემმა. ოცდაჩვიდმეტის ოცდაშვიდ ნოემბერს სახლში უხასიათოდ დაბრუნდა და დედაჩემს ეუბნებოდა, გუშინდელივით მახსოვს: დღეს რევიზია დამეცა საავადმყოფოში. ყველაფერი კარგი დაწერეს, მარა წასვლისას ერთმა შემმოწმებელმა ჩემი კაბინეტის ქვევით რომ საწყობი მაქვს, იმაში ჩაიხედა და მკითხა: რად გინდა, ვანო, ეს ბუნკერიო. წამლები ინახება სიბნელეში კარგად-მეთქი, ვუპასუხე. მეტი არაფერი უკითხავს, მაგრამ წასვლისას რაღაც საეჭვოდ კიდევ ჩაიხედა შიგო. თურმე ტანმა უაზრა მამაჩემს, რომ ის „შემმოწმებელი“ კაი სული არ ჩანდა და იმიტომ იყო ცუდ ხასიათზე. მესამე დღეს დააპატიმრეს. დედაჩემს გამოუცხადეს, როგორ ვერ ხვდებოდი, შე ქალო, ხალხის მტერი გყავდა სახლშიო. თავის კაბინეტიდან გვირაბს თხრიდა შენი ქმარი კაპიტალისტურ გარემოცვასთან დასაკავშირებლადო. როგორ დააპატიმრეს არ იკითხავთ? მამაჩემი დილით საავადმყოფოს სახურავზე ასულიყო, წვიმა ჩამოდიოდა, თურმე ერთ ადგილას და კრამიტს ასწორებდა. ექთანს დაუძახნია, გირეკავენო. „უთხარი კრამიტს ასწორებს-თქვა და დამირეკონ ნახევარ საათში“, უთქვამს მამაჩემს. კრამიტს რომ გაასწორებს, მაშინვე უშიშროებაში მოვიდესო, ექთ- 318 ნისთვის დაუბარებიათ. ალბათ, ვინმე ჰყავთ შესამოწმებელი ფსიქიურადო, უფიქრია მამაჩემს, გაკვირვებით კი გაკვირვებია, რაკიღა ასეთ საქმეზე სხვა დროს უშიშროებაში კი არა, ციხის ამბულატორიაში ეძახდნენ. წასულა ეტლით. ორი-სამი საათი შეგვიანებია. საავადმყოფოს ერთცხენიანი ეტლი ემსახურებოდა მამაჩემს. გამოსულა ბოლოს და მეეტლისათვის უთქვამს: წადი შენ, აქ რაღაცაა გასარკვევი და, როგორც ჩანს, კარგა ხანს მომიწევს დარჩენა. აქედან მე თვითონ მივალ შინო. ჯუღაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით მაშინ, თხუთმეტ ნომერში. პატარა ეზო გვქონდა. ვთამაშობდით ეზოში მე და ჩემი და, ქარიანი დღე იყო, მახსოვს. ღამდება, არ ჩანს მამა. აწრიალდა დედაჩემი. ალბათ შემორჩა საავადმყოფოშიო. სხვა დროსაც აგვიანებდა. იქნებოდა ასე, ათი საათი, შავი ლიმუზინი გაჩერდა ჭიშკართან. სამი შლაპიან-პლაშიანი კაცი გადმოვიდა. სხირტლაძე ხომ აქ ცხოვრობსო, ზრდილობიანად მკითხეს. მე თვითონ ავუძეხი კიბეზე. დედაჩემს ფერი ეცვალა, მივხვდი რაშიც იყო საქმე. დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერები დაუწყვეს თავჩაქინდრულ დედაჩემს მაგიდაზე. დაიწყეს ჩხრეკა. ისე გამალებით მუშაობდნენ, დენზე ჩართულები გეგონებოდა. ჯერ იატაკზე გადმოყრიდნენ ყველაფერს, მერე იქექებოდნენ შიგ. დიდ ტომარაში ჩააწყვეს მამაჩემის ნაწერები, სურათები, საბუთები, ყველაფერი, სანადირო თოფიც კი... მხარზე აიკიდეს და წავიდნენ. სასამართლომდე ქუთაისიდან ფეხი არ მოიცვალოთო, დედაჩემს დაუბარეს. მეორე დღეს „ქონების აღმწერი“ კომისია მოვიდა. აღწერეს. თუ რამე გვქონდა; საწერი მაგიდით დაწყებული ჭიქათეფშამდე. სამი ოთახიდან ორი დაგვილუქეს და ჩვენ პატარა, საძინებელ ოთახში შეგვყარეს სამივენი. ერთ კვირაში ბინიდან საერთოდ გამოგვყარეს და მწვანეყვავილაზე ვიღა- 319 ცის ნესტიან, უფანჯრო სარდაფში მიგვიჩინეს ბინა. იმ სარდაფში გავატარე ჩემი ყმაწვილკაცობა. დღისით ეზოში ვტრიალებდით სამივენი. ეზოში ვსვამდით ჩაის და იქვე ამზადებდა სამფეხაზე დედაჩემი სადილს (თუ რამეს ვიშოვიდით, რასაკვირველია). დასაძინებლად, გვიან ღამით შევდიოდით ნესტიან სარდაფში და დილაადრიან გამოვდიოდით, რევმატიზმი რომ არ დაგვმართნოდა. დაპატიმრებიდან სამი კვირის თავზე გამოგვიცხადეს: ხალხის მტერი, უცხოეთის დაზღვევის აგენტი ივანე სხირტლაძე გაასამართლეს და შორეულში გადაასახლეს. წერილს, ალბათ დანიშნულების ადგილზე რომ ჩაიყვანენ, მერე მიიღებთო. გავიდა ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი. ორმოცში მივიღეთ პირველი წერილი ვიატკიდან. რას მოგვწერდა: რასაც მაშინ ყველა პატიმარი იწერებოდა; ალბათ, იცოდნენ, რომ წერილებს „ფოსტა“ ხსნიდა და კითხულობდა. ჯერ ერთი, რა გახსნა უნდოდა, კონვერტში კი არ იდო. სამკუთხა ბარათებს აგზავნიდნენ, როგორც ჯარისკაცები. პატიმარს კონვერტს ვინ მიაშავებდა. ცოცხალი ვარო, გვწერდა მამაჩემი. თქვენს თავს მიხედეთ, მე როგორმე გავიტან თავსო. სასჯელს ვიატკის მახლობლად ვიხდიო. წერილებს ვუგზავნი აქედან სტალინს, ალბათ მალე გაარკვევენ ჩემს უდანაშაულობას და გამომიშვებენო. თქვენს თავს მიხედეთო, როგორი მისახედი იყო ჩვენი თავისთვის, მარტო იმან იცის, ვისაც ხალხის მტრის შვილობა გამოუცდია. ჩვენთვის არა კომკავშირი, არა პიონერთა სასახლის წრეში ჩაწერა, არა ფრიადოსანთა დაფაზე გამოკვრა, ან რამე ასარჩევ საბჭოში არჩევა. ჯგუფელებიც კი ჩვენთან ცალკე მეცადინეობას გაურბოდნენ. ორი წერილი მივიღეთ ორმოც წელში. არ გაგიჭირდებათ თქვენ წარმოდგენა, რა იყო ეს წერილები ჩვენთვის. თითქოს მამა სახლში გვყავდა. მუდმივად იდო მაგიდაზე ის ორი წერილი და ვკითხულობდით სამივენი მორიგეობით. 320 ხანდახან დღეში სამჯერაც წავიკითხავდი. ზეპირად ვიცოდი, რაც ეწერა შიგ, მაგრამ მაინც გვსიამოვნებდა მამის ხელნაწერი, თითქოსდა გვესაუბრებოდა აგერ ყურისძირში. ყოველ წაკითხვაზე ახალს აღმოვაჩენდით რამეს. მერე ომი დაიწყო და წერილებიც შეწყდა. შიმშილი, სიცივე და უბედურება ხომ თავისთავად, მაგრამ მე ომი მახსოვს, როგორც მამაჩემის წერილის დიდი, უსაშველო ამაო მოლოდინი. კვირაში სამჯერ მაინც მივდიოდი, მე, ჩემდათავად ჯუღაშვილის 15-ში, ჩვენს ყოფილ ბინაში და ვეკითხებოდი ჩვენი სახლის ახალ ბინადართ. ღვთის გულისათვის, ნუ დამიმალავთ, მამაჩემის წერილი ხომ არ მოსულა-მეთქი. ომის დამთავრების ორი წლის თავზე, 1947 წელს შუაღამისას ვიღაცამ დააკაკუნა ჩვენი სარდაფის კარებზე. ვინ ბრძანდებითო, დედაჩემი საწოლზე წამოჯდა. არ შეგეშინდეთ, ქალბატონო, მოყვარე ვარო, უცნობმა. ვინ მოყვარე, რა გნებავთ, ბატონო, ამ შუაღამისასო. დედაჩემმა ლამპა აანთო, ვანოს ნაცნობი ვარ, გადასახლებიდან მოვდივარო. სამივენი მივცვივდით კარებთან. შემოვიდა მთლად გათეთრებული, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი კაცი. დაჯდა. ამოისუნთქა და გულზე ხელი მიიდო. მიიხედ-მოიხედა, — აუჰ, სად გადმოუგდიხართ, როგორ ცხოვრობთ ამ ჯურღმულში, მოგიკვდათ ჩემი თავიო — პირველად ეს თქვა. მერე დაწვრილებით გვიამბო; ვიატკაში ერთად ვიჯექითო. ბოლო ორი წელია ვანო ყარაგანდაში გადაიყვანეს სამხედრო ტყვეთა და პოლიტიკურ პატიმართა ბანაკშიო. მანამდე არ იყო ცუდად, ვაჟკაცურად უძლებდა ყველაფერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ავად გამხდარა, წამოსვლის წინ ამბავი მომიტანეს, ფეხზე ვერ დგებაო. პატიმრობის ვადა თვენახევრის წინ გაუთავდა. რაკი აქამდე ვერ ჩამოვიდა, როგორც ჩანს, სერიოზულად არის ავადო. მე ვიატკიდან გამათავისუფლეს და ყარაგანდაში ჩასვლის უფლება არ მქონდა, თორემ მკვ- 21. რ. მიშველაძე. ტ. X 321 დარს ან ცოცხალს ჩამოვიყვანდიო. თუ გაქვთ საშუალება, უნდა გაგზავნოთ ვინმე, იქნებ ცოცხალს ჩაუსწროსო. მისამართი ყარაგანდის ოლქი, 39-ე საფოსტო ყუთი. იქ ადვილი მისაგნებია. ვანო სხირტლაძე — ექიმი, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველამ იცისო. მე თვითონ ჯაფარიძე ვარ. მხატვარი უჩა ჯაფარიძე, თუ გაგიგონიათ, იმისი ძმა გახლავართო. თუ ღმერთი გწამთ, არავის უთხრათ, მე რომ მოგაკითხეთ, ჩვენ ხელწერილი დაგვაწერინეს, რომ ბანაკის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ გავცემდით, თუ გაიგეს, ჯიჯგნას დამიწყებენ და აღარა მაქვს ამის ძალა და ნერვებიო. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით. მამაჩემი ცოცხალი აღარ გვეგონა და ახლა მცირე იმედი მაინც გაჩნდა, რომ ცოცხალს ვნახავდით. დედაჩემი სასტიკ უარზე იდგა, მაგრამ ჩემი გავიტანე — მე უნდა წავსულიყავი მამაჩემის ჩამოსაყვანად. მე, ოცდაორი წლის ბიჭი — არმაზ სხირტლაძე, რომელსაც ქუთაისიდან ჯერ ფეხი არ გამიდგამს. მივყიდ-მოვყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა, მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდა, ცოტას ახლობლები შეგვეწივნენ, ცოტა ვიურიისვალეთ და ოქტომბრის თოთხმეტში დავადექი ჩემთვის უცნობ გზას მარშრუტით ქუთაისი-მოსკოვი-ყარაგანდა — ოდცამეცხრამეტე საფოსტო ყუთი. რა ადვილია სათქმელად და რა გოლგოთის გზაა, ჩემო ბატონო, ეს მარშრუტი ქაღალდზე რომ ორ სტრიქონს იკავებს და სინამდვილეში ათასობით კილომეტრს მოიცავს. მივდივარ, თითქმის ნასესხები ფულით, ცოტაოდენი წამლებით, ხუთი ლიტრი არყით, ოცი ცალი ლიმონით, ორი ქილა ტყემლის საწებლით და ვეებერთელა შიშით. არც მოსკოვში ვიცნობ ვინმეს და, მით უმეტეს, არც ყარაგანდაში. ყაზახეთზე ჩემი ცოდნა გეოგრაფიის სკოლის სახელმძღვანელოს არ შორდება და, ფიცში ვერ ჩავიყოლებ — ჯამბულის ლექსი ვიცი სტალინზე. სკოლაში გვასწავლეს. თუ გახსოვს, ის ლექსია ასი წლის მოხუცი სტალინს „მამას“ რომ უწოდებს. რუ- 322 სული? რა რუსული იცოდი შენ, ოცდაორი წლისამ, გაიხსენე და ცოტა იმაზე ნაკლები იანგარიშე ჩემთვის. კუპეში ჩემთან რუსი ცოლ-ქმარი მგზავრობდა. ხანშიშესულები იყვნენ. წყალტუბოში ვისვენებდითო. ერთი ზედა ადგილი ჰქონდათ ერთი ქვედა. მაგენი კანონის ხალხია ჩემზე უკეთ შენ გეცოდინება და ჩემთვის არც უთხოვიათ,

ახალგაზრდა ხარ, დაგვითმე ადგილიო. ეგება ქე ეთხოვათ, იმიტომ რომ გაუჭირდებოდა დროულ კაცს ზევით ახტომა, მაგრამ იქამდე არ მივიყვანე საქმე. თქვენ ქვევით მოისვენეთ, მე ზევით მირჩევნია-მეთქი. რაც ორივემ მლოცეს. მეორე დღეს დილით ჩამოვხტი ნარიდან, ფრთხილად გავაღე კარი და გამოვედი კუპედან. ორივეს ეძინა და, სანამ თვითონ არ დამიძახეს შემოდიო, არ შევსულვარ. მე ვთქვი, არ შევაწუხოთქვა. კონდუქტორს ჩაი და ორცხობილა შემოვატანინე. დედაჩემის გამომცხვარი ჭადი და მრგვალად მოხარშული დედალი შევმატე სუფრას. ძველებური ლიტრიანები ხომ გახსოვს, ფსკერშეკეცილი შავი ბოთლები, ქე-გითხარი, ხუთი იმნაირი ბოთლი მედგა ჩანთაში ორნახადი ჭაჭის არყით სავსე. ერთი ამევიღე და დავდგი. ბევრი ეხვეწა ცოლი არ დალიოო, ბოლოს დაემუქრა კიდეც, სამსახურში გიჩივლებო, მაგრამ ვერ დააშლევინა. ორი ჩაის ჭიქა რეკა რუსმა ეს ჩემი არაყი. გალსტუკი და კოსტუმი მეიშვლიპა, გადამხვია ხელი და იმნაირი „კატიუშა“ დააგუგუნა, მთელ ვაგონს ესმოდა. დილით კურსკის ვაგზალში რომ შევდიოდით, ოთხი ლიმონი დავაძვრე და მივართვი ცოლქმარს. ზოგიერთს ჩვენ, ქართველები, გიჟები ვგონივართ. არ გეგონოს რომ ამას იმიტომ ვაკეთებდი, ეს რუსები რამეში დამჭირდება-მეთქი. არც მიფიქრია, მამის სულს გეფიცები. მე სხვანაირად არ შემეძლო. ჩვენ ასე ვართ გაზრდილი. მარტო ხვარ დევიწყებდი ჭამას. ისე, ამ ორ დღეში ჩემი დამტვრეული რუსულით ქე მოვუყევი, რა თქმა უნდა, სად მივდიოდი და რა საქმეზე. სანამ მატარებელი გაჩერდებოდა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს და ქმარმა მითხრა: კაი ბიჭი ჩანხარ, ჩვენ, სამწუხ- 323 აროდ, მაგ შენს საქმეში ვერაფერს დაგეხმარებით, უბრალო ინჟინრები ვართ, ცოლ-ქმარი (მერე გავიგე, ქმარი პენსიაზე იყო). ერთი ის შეგვიძლია, წამოდი ჩვენთან ღამეს გაგათევებინებთო. წავყევი. ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. შვილი მფრინავი გვყავს — ბარნაულში მუშაობსო. ჩამიდგეს შეზლონგი და დამაწვინეს. ძერჟინსკის მოედანზე გამიყვანა მეორე დღეს ჩემმა მასპინძელმა და შორიდან დამანახა კგბ-ს შენობა. არ გეწყინოს, შიგნით ვერ შემოგყვებიო. არ მიმხელდა, თორემ არ აკავშირებდა მთლად კარგი მოგონებები კაგებესთან. მივადექი მისაღებს. რა არი ახალგაზრდობა, თვარა ახლა ვერ გავბედავ, იქანა მისვლას და მაშინდელი კგბ ხომ იცი, რა იქნებოდა. კაგებე კი არ ერქვა, ჩეკა ერქვა მაშინ. ვინ ხარ? ესა და ეს კაცი ვარმეთქი, დავაძვრე პასპორტი, უბნის კომიტეტის მოწმობა ჩაწერაზე. რა გინდა? მამა მყავს ნაპატიმრალი ყარაგანდის გულაგშია, ავად გამხდარა და უნდა ჩავიყვანო ქუთაისში-თქვა. შენ ჭკუაზე აფრაკათ ხვარ ხარო. რა უნდა ყარაგანდაში გულაგსო. ვინ გასწავლა შენ ასეთი რამეებიო. გატრიალდი ახლავე უკან. მამაშენს ჩვენ ჩამოგიყვანთ, როცა საჭირო იქნებაო. ორნი იყვნენ. შემეშინდა და ის იყო გადავდგი კარისკენ ნაბიჯი, ვიღაცა შავგვრემანი სამხედრო შემოვიდა. შენი ზემლიაკიაო, რუსებმა. „ჰაეს?“ მომიბრუნდა, რომ შემატყო, ვერ გავიგე, სუფთა ქართულით მეკითხება — ქართველი ხარ ბიჭო? აქ რა გინდა? ვუთხარი ყველაფერი. ცნობა თუ გაქვს ქუთაისის უშიშროებიდან რომ მამაშენი გასამართლებულია და ნამდვილად ყარაგანდაშიაო. დამცინით? როდის იყო მაგნაირ ცნობას უშიშროება იძლეოდა-მეთქი. აბა რა იცი, რომ ყარაგანდაშიაო. ხომ არ ვეტყოდი უჩა ჯაფარიძის ძმამ გვითხრამეთქი. ვიცი, ნამდვილად, 39-ე საფოსტო ყუთი, ყარაგანდიდან თვრამეტ კილომეტრშია-მეთქი. ჩამაცივდა, ვინ გითხრა 324 და ვინ გითხრაო. ოღონდ შენ ეგ მითხარი და მე თვითონ წამოგყვები ყარაგანდაშიო. არ ვიცი, ვიღაცამ შუაღამისას ჭიშკრიდან დაგვიძახა, სახეზე არც დამინახავს-მეთქი. გაეცინა. კარგი ბიჭი ყოფილხარო. მომკიდა ხელი, მატარა ზევით-ქვევით. რომ არ დაგიმალო, ხუთ კაბინეტში მაინც შემიყვანა და გამომიყვანა. ბოლოს თვითონ ჩამყვა ქვევით, მატარებლის ბილეთი გამოაწერინა. იქვე, იმავე შენობაში ბილეთი ამაღებინა და მითხრა — ხვალ, მოსკოვით თექვსმეტ სათზე გადის შენი მატარებელი. გზაში მაინცდამაინც ბევრი არ ილაპარაკო, წარმატებას გისურვებ, თუ გაგიჭირდეს, ამ ნომერზე დამირეკეო, თავისი ნომერი მომცა. ჩვენ ქართველებს, ორ რამეზე გვაქვს სხვებისაგან განსხვავებული წარმოდგენა, ჩემი დაკვირვებით, „სიშორეზე“ და „ბუნებაზე“. ჩვენთან ყველაფერი ახლოსაა და „შორიაო“. ქართველი კაცი რომ იტყვის, ის „შორი“ ალბათ, ჰა, ქუთაისიდან გურჯაანამდეა — მეტი არა. წარმოიდგინე ცხრა დღე მიდის მოსკოვიდან მატარებელი გაუთავებელ სტეპში და ტრამალებში. ახლა „ბუნება“? „ბუნება“ ჩვენთვის სამოთხის დეკორაციაა დახატული, თბილი, ტკბილი, მომფერებელი. ახლა ყაზახეთის, ბუნება ნახე? ყარაგანდიდან თვრამეტი კილომეტრი ფეხით. ასეთი სიმწარე სამოცდაათი წლის კაცი ვარ მე არ დამდგომია. კიდევ კარგი მარტო არ მოვდიოდი, თვარა ცოცხალი ვერ ჩამოვაღწევდი. ორი ჩატელეგრეიკებული ქალი დამემგზავრა, ვინ ხარო მკითხეს. ქუთაისელი ვარ, მამა მყავს 39-ე საფოსტო ყუთში პატიმარი-მეთქი, გაჩერდნენ. ერთმა მათგანმა ლოყაზე უშველებელხელთათმანიანი ხელი მიირტყა — არმაზი ხარ შენო?! გადავირიე კინაღამ. ციმბირს იქეთ, შუა ყაზახეთში, უდაბნოში, ოცკილომეტრში ირგვლივ კაცის ჭაჭანება რომ არაა და ქვიშის გორაკები იქეთ-აქეთ დააქვს ქარს, სიცივე ძვალრბილში რომ ატანს და კბილებში ქვიშა კაწკაწებს, ნიჩბისახა თვალწვრილა ქალი მეკითხება — არმაზი ხარ შენო? 325 არმაზი ვარმეთქი. ექთნები აღმოჩნდნენ. მამაჩემის ამბულატორიის თანამშრომლები. სისხლი მოეწამლა და ძალიან ცუდად არისო. გუშინწინ ანდერძი დაწერა და დაგვიბარა, რომ მოვკვდები, მხოლოდ წლისთავზე შეატყობინეთ ოჯახსო. სასაფლაო ქვა თვითონ გააკეთებინა — ქართულად და რუსულად წააწერა თავისი გვარიო. სასტიკი წინააღმდეგი იყო შენი ჩამოსვლის, აქედან მაინც ვერ წამიყვანს და ტყუილად გზაში რამე ხიფათს გადაეყრებაო. ღამის სამი საათი იყო, ბანაკში რომ მივედით. არ ეძინა მამაჩემს. მაღალი სიცხე ჰქონდა. წუხდა, ბორგავდა. ჯერ დავუჩოქე, ვკოცნე, ვეფერე, მივიჩვიე, სუნი ვაგრძნობინე ჯილაგის. მამა-შვილს ერთნაირი სუნი აქვს, ხომ იცი შენ, და მერე გავუმხილე, ვინც ვიყავი. ჯერ კინაღამ ჩამაკვდა ხელში. რა ყოფილა სიხარულის ელდა, კაცო. მერე ისტერიული ტირილი აუტყდა და ვერ გავაჩერეთ, ბოლოს ჩხუბი დამიწყო, რატომ ჩამოხვედი, რატომ ჩაიგდე თავი ამ დღეშიო. შენ რომ რამე დაგემართოს, ხომ გადაირევა დედაშენიო: თვე-ნახევარი დავრჩი გულაგის საავადმყოფოში. ცოტა შემოვაბრუნე სასიკვდილოდ გადადებული მამაჩემი. სიცხის დაგდება გაგვიჭირდა ყველაზე უფრო. ორგანიზმის საერთო მოწამვლისა და მოყინვის გამო მარჯვენა ფეხს პულსი აღარ ჰქონდა ტერფთან, სისხლი არ მიეწოდებოდა. მუხლს ქვევით შეგრძნებაც არ ჰქონდა. განგრენული მდგომარეობა იყო, მაგრამ ამპუტაცია არ გავაკეთებინე. მე ვთქვი, შეიძლება მოხდეს სასწაული და ამოძრავდეს სისხლი-მეთქი. თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რაც სჭირდა. ფართო პროფილის ექიმი იყო. ყველაფერს კითხულობდა და ცდილობდა, ყველა სნეულებაზე ჰქონოდა წარმოდგენა. ადამიანიო ერთი ორგანიზმიაო, ერთი ავადმყოფობა მეორეს იწვევს და საბოლოოდ ყველა ავადმყოფობა ტვინიდან მოდისო, იცოდა თქმა. ჩვენი ზოგიერთი ექიმი სიღრმეში კი არ ჩადის, მიზეზს კი არ ეძებს, ერთ ორგანოს მკურნალობს ლო- 326 კალურად, ორგანიზმისგან გამოთიშულად. გადის სამი თვე და ისევ უჩნდება კაცს წყლულია, თუ ჰიპერტონია. მიდის ექიმთან, ექიმი ეუბნება, რა გიყო, ძმაო, მაშინ ხომ მოგარჩინე, რეჟიმი დაგირღვევია, შენი ბრალიაო. სინამდვილეში არ იყო ბოლომდე მორჩენილი. ის კერა არ იყო აღმოფხვრილი, საიდანაც დაიწყო ავადმყოფობა. შუა დეკემბერი იყო, რომ გამომიცხადა, ჩემი საქმე წასულია, წადი ახლა შენ. დაბრუნდი ქუთაისში, არ ღირს ჩემი თრევა აქედან, ხომ ხედავ, ფეხზე ვერ ვდგებიო. რავა ფიქრობ, მამაჩემო, მიგატოვებ ახლა მე შენ აქანა და მარტო ჩავალ ქუთაისში-მეთქი? რამ გაფიქრებინა ეგ ამბავი. სანამ გამომჯობინდებოდე, მზად ვარ ათი წელი ვიჯდე, ასე, ტაბურეტზე შენს გვერდით და გითიო ღამე. უსაშველო არაფერი გჭირს, ნუ გეშინია-მეთქი. აბა, მაშინ დროს ნუღარ დავკარგავთ, თუ წამსვლელები ვართ, წავიდეთ. რა ვიცი ხვალ რას მიზამს ეს ვერაგი სენი. ეგება მოხდეს საოცრება და ღვთის შეწევნით (საერთოდ ღმერთი არ სწამდა, არც მე მწამს, ვერ მოგატყუებ) ცოცხალი ჩამიყვანო ქუთაისშიო. მეორე დღესვე გამოვვარდი ყარაგანდაში კოლონიების ცენტრში საბუთების გასაფორმებლად და ბილეთის ასაღებად. ოთხთვენახევრის გათავებული ჰქონდა პატიმრობის ვადა, ამოწერილი ჰყავდათ უკვე. მეტსაც გეტყვი: გარდაიცვალა მუცლის ტიფით და დასაფლავებულია საერთო სასაფლაოზე, ეწერა მამაჩემის გვარის გასწვრივ გრაფაში. წინასწარ ეზრუნა ვიღაცას. მივედი რკინიგზის სადგურში და მეუბნებიან; დღეიდან ფული შეიცვალა ძველი ფულის ნიშნები ანულირებულიაო. იღბალი არ გინდა? გავვარდი-გამოვვარდი... ერთადერთი გადასაცვლელი პუნქტია ყარაგანდაში. იქაც ათასზე მეტი კაცი დგას რიგში. მოქალაქეებს რაღაც კაპიკებს უხურდავებენ, იმასაც ახსნა-განმარტების ქვეშ. უნდა დაწერო, საიდან გაქვს ფული. იმ გადახურდავებული ფულის მოსკოვიდან ქუთაისში 327 ჩასვლა არ გინდა? ვზივარ და ვტირი. მომაკვდავი მამა მყავს წასაყვანი და, ჩემდა ჭირად ახლა გამეიცვალა ფული-მეთქი. ტირილი და გაჭირვება იქანა ვის უკვირს. ვიღაცამ მითხრა: ქალაქის საბჭოში მიდიო, მგონი ქართველი მუშაობს იქ საბჭოს მდივნადო. მივედი. მდივნის ოთახს მართლაც აწერია „ლექვინაძე“. შევედი. რუსის ქალი ზის. ლექვინაძე მინდამეთქი. მე ვარო. ბოდიშს ვიხდი-მეთქი. აქ კარებზე ქართული გვარი რომ ეწერა, მდივანი ქართველი მეგონა-მეთქი. გაეცინა. რა გაგჭირვებიაო. ავუხსენი ყველაფერი. ადგა ეს ულამაზესი ცისფერთვალა, თეთრთმიანი კინოეკრანიდან გადმოსული ქალი და თავისი ფეხით გამომყვა. ქართული, რასაკვირველია, ერთი სიტყვა არ იცის. თვითონ არ უთქვამს და მე ხომ არ ვკითხავდი, რატომ იყო ლექვინაძე. რაც იმან ჩემთვის იწვალა. ჯერ გადამცვლელ პუნქტთან, მიტინგის მოწყობა დაჭირდა. ურიგოდ რომ გავეშვით. სიტყვა თქვა ხუთმა-ექვსმა კაცმა და ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს, მართლა გეუბნები. ახლა ფულის გადაცვლა ნორმის ზევით? საბჭოს მდივანმა ვერავის გააგებინა, რაში გვჭირდებოდა ფული და ბოლოს რევოლვერზე წაივლო ხელი; დაგხოცავთ თქვენი დედაო, მწოლიარე ავადმყოფი მიყავს, რა ქნას აბა, იმათხოვროს გზაშიო? ახლა ავადმყოფზე გეტყვი! მოსკოვამდე სამი მატარებელი გამოვიცვალეთ. საწყალი მამაჩემი ორი ზეწრით აგვყავდა და ჩამოგვყავდა ვაგონიდან (საკაცე არ შეიძლებოდა, საკაცით ვერ მოტრიალდებოდი) და თითქმის ყველა შემხვედრი გაოცება-აღშფოთებას ვერ მალავდა — რატომ მიგყავთ და სად მიგყავთ ავადმყოფიო. ჯერ ამ გზაზე ავადმყოფი მგზავრი არავის უნახავსო. ამის ხარჯზე ხომ ერთი ჯანმრთელი ადამიანი წამოვიდოდაო. მოკვდებოდა და დაასაფლავებდით ადგილზეო. ვუხსნიდი, რომ თავის მშობლიურ ქალაქში, ცოლშვილის მოსანახულებლად მიმყავდა, თუ მოკვდება თავის მიწაში მაინც დაიმარხება-მეთქი. ისე იყო ხალხი გამკაცრებუ- 328 ლი, ვუხსნიდი ამას, მაგრამ ვერ ვაგებინებდი. როგორც გიჟს ან როგორც მეზოზოური ერის ადამიანს ისე შემხედავდნენ და გამშორდებოდნენ. აღარ გადაგღლი მოსკოვამდე, მოსკოვიდან თბილისამდე და თბილისიდან ქუთაისამდე ჩვენი წამების მოყოლით. სხვათა შორის, თბილისში, სადგურზე უშიშროების წარმომადგენელი დაგვხვდა და ტყავი კინაღამ გამაძრო — რატომ არ შეგვითანხმდი, რომ მიდიოდიო. ქუთაისის უშიშროებამ იცოდა-მეთქი. ჩვენც უნდა გვცოდნოდაო. შენ ყარაგანდაშიც არ იყავი ჩასული, მოსკოვიდან რომ დაგვირეკეს და სასტიკი საყვედური გვითხრესო. ბერიას უმადლოდე, რომ არ გაპატიმრებთ, ბერიამდე მიაღწია თქვენმა ამბავმაო. 1947 წლის 31 დეკემბერს, საახალწლოდ ჩავიყვანე მამაჩემი შინ. რიონის სადგურში ღამის მთელი ქუთაისი დაგვხვდა. ორთვენახევარი იცოცხლა ჩამოსვლის მერე, მეტი ვერა.

თეიმურაზ ლანჩავა

ძვირფასო თემურ!

ამ და ბოლო დროს დაწერილი სხვა მშვენიერი ლექსებისათვის დაგაჯილდოვეთ გალაკტიონ ტაბიძის ოქროს მედლით.

ერთხელ კიდევ გილოცავთ ამ დამსახურებულ ჯილდოს.

რევაზ მიშველაძე

***

საათი წუთებს რომ ვერ თვლის,
მაჯას შევაბი, გაჩერდა,
არ წიკწიკებდა ყოველთვის,
უსაქმურობას მაჩვევდა.
ისეთ დროს გამაღვიძებდა,
რომ უნდა დამძინებოდა,
დროს მახსენებდა საშინელს,
გული რომ დამძიმებოდა.
ვთქვი, მოვიშორებ, მოვიხსნი,
მივხვდი რომ არასანდოა,
მაგრამ დროს როგორ მოისვრი,
მითუმეტეს თუ სხვა დროა.
დავჩერებივარ, მაკვირვებს,
სხვა დროა, სულ სხვას აჩვენებს,
ჩემს გაგიჟებას აპირებს
და გულისცემას აჩერებს.

***

ათამაშებენ ლომების როლში,
ახლა წრუწუნებს,
ნამდვილი ლომი,
დროს-რეჟისორს ხედვას უწუნებს.
ნამდვილი ლომი მოღრიალე,
ლომი ნამდვილი,
ხვდება არაა დღეს
ამ დროში მისი ადგილი.
დუმს არ ღრიალებს,
არსებობას არ აღიარებს
და ყველა ხედავს
დროს დუმილით ანაგვიანებს.

***

მიტოვებული საწოლი რკინის
და უცნაური სიკვდილის განცდა,
მწარე სიმართლედ მოედო თბილისს
და სიმარტოვის მოლოდინს გასცდა.
ცისკენ გაფრენას გავდა სიკვდილი
მარადისობის ვნების აშვებით,
უცებ აივსო მთელი ქვეყანა
თვალცრემლიანი დიდი ბავშვებით.
არ იყო მიწა მისთვის სიმშვიდე,
იყო საჭირო ღმერთამდე მისვლა,
წავიდა, დათმო, ერთადერთობა,
უიმედობა იმედით იხსნა.

***

ღიმილი დაკარგეს ბავშვებმა,
ეძება დრომ, ვეღარ მონახა,
იწყება ზეციდან დაშვება
და ხვდები, რომ მიწის მონა ხარ.
გაძნელდა ყოფნა და არყოფნა,
თვალები ემღვრევა სიმშვიდეს,
ძნელდება დღე ღამის გაყოფა,
არყოფნა სიკვდილის წილში დევს.
თანდათან იმსხვრევა სიზმარი
დრო კვდება, ტკივილებს გადამდებს
და ფერფლად იქცევა მიზანი
მიზანის არყოფნა გადარდებს.
ღიმილი დაკარგეს ბავშვებმა,
ეძება დრომ ვეღარ მონახა,
იწყება ზეციდან დაშვება
და ხვდები რომ მიწის მონახარ.

***

ყველა ზამთარში თოვლი თეთრია,
სხვა ფერებზე რომ არ ქორწინდება,
თოვლის სითეთრე ერთადერთია,
არასოდეს რომ არ მოგწყინდება.
რაც სპეტაკია და მსუბუქია
პეპელასავეთ თეთრად ფარფატებს,
მიუწვდომლობა არის ზამთარი,
რომ მოინდომეს და ვერ დახატეს.
შენს ნაფეხურებს დავეძებ თოვლში,
რომ მომიყვანოს თოვლმა შენამდე,
ვარ გაწბილებულ მეძებრის როლში
ერთინაბიჯი მრჩება შველამდე.

***

ნიშნად იმის, რომ ნამდვილად ლომი იყო,
გალიაში ჰყავდათ, დიდხანს ღრიალებდა,
პასუხობდა, თავზარდამცემ ყველა კითხვას,
„დანაშაულს“ მაინც არ აღიარებდა.

დაუთვალეს ჩადენილი ცოდვა-მადლი,
მის სარდლობით თუ რამდენი ომი იყო,
ერთადერთი აწუხებდა, კლავდა დარდი,
დაივიწყეს, რომ ნამდვილად ლომი იყო.
დრომ სიმშვიდეს შეაგუა, მიაჩვია,
მშვიდად ისმენს განაჩენს და არ აკვირვებს,
ყველაფერი სისულელედ მიაჩნია,
გალიიდან არსად წასვლას არ აპირებს.
თუ მოკვდება, უნდა სამშობლოში მოკვდეს,
არ ადარდებს საწუხარი დანარჩენი,
თუ მოკვდება სამშობლოში, სხვაგან არსად,
სამშობლოა მისი ბოლო განაჩენი.

***

ჩემი ბავშვობა ქუჩაში დარჩა,
მოგონებებად შემორჩა უბანს,
დავეძებ ახლა და თვალებს ვქაჩავ,
მაინტერესებს როგორმე თუ მგავს.
წუხს მონატრება, წარსულში ვეძებ
იმას, რაც დროში დავკარგე ერთ დროს,
დაფიქრებული საკუთრ ბედზე
ვუხმობ დაბრუნდეს, როგორმე მენდოს.
ასაკი იქცა ამინდის მონად,
და ღრუბლიანი ზეცა მახურავს,
რატომღაც მჯერა, ხელახლა მოვალ,
მტრედებს წავართმევ სახლის სახურავს.
დავუსტვენ ისევ, იქნებ სახლიდან,
გამოვიტყვილო ის ვინც მრიყავდა,
მჯერა, რომ ისევ ერთგული ვრჩები,
ვინც ბგავშვობაში მართლა მიყვარდა.
ჩემი ბავშვობა ქუჩაში დარჩა,
სხვისი ჩრდილივით, დაუნახავი,
ვით ბავშვობაში ნანახი ყანჩა,
შენით მოკლული, დაუმარხავი.

***

გამოვეპარე ძილიდან სიზმარს,
ახლა სიზმარი ცხადში გრძელდება,
გადმოვაბიჯე თამამად იმ ზღვარს,
უარყოფა რომ გამიძნელდება.
ვცხოვრობ სიზმარში, ვარსებობ ცხადში,
და ვითვლი წუთებს, მინდა გავერთო,
და ვხვდები ჩემში ცხადსა და სიზმარს,
მოუნახიათ რაღაც საერთო.

***

ვიცი ბოლოს აღარვინ შემრჩება,
მოყვარული, მოტრფიალე, წრფელი,
შენც წამიხვალ, მიმატოვებ, შენ ჩემო
და ჩამოთოვს სევდას ძველი წელი.
ვიცი ბოლოს, ვინც მიყვარდა, გამწირავს,



ამატირებს მარტოობის შიში,
უნდა ქოლგა შევაშველო ამ წვიმას,
გაზაფხული დავისიზმრო ძილში.
ვიცი, ვიცი, არაფერიც არ ვიცი,
და განვიცდი, რომ არ ვიცი, იმას,
თუ ისურვებ, სიკვდილამდე დაგიცდი,
მერე რაა, რომ სიზმარშიაც მძინავს.
დგანან წყნარად მოწყენილი ლანდები,
ვარ მორჩილი შენი ტყვე ვარ, გბარდები,
შენც რომ დამთმო, თვალთახედვას გაექცე,
უეჭველად ცაში გადავბარგდები.

***

მარტს ემსგავსება ხანდახან გული
წვიმებით, ცივი ხასიათებით,
ცხოვრება ხდება მწარე და რთული,
შეუცნობლობით ვხასიათდები.
წაიყოლიეს ცივმა ქარებმა,
სითბო, სიმხნევე, დროის სინაზე,
გაახმაურეს ჭორად ქალებმა,
ჩემდამი ტრფობა მტრების ჯინაზე,
მარტს ემსგავსება თანდათან გული,
და ყველაფერი ხდება მარტივად,
ჩემს სიმარტოვეს ცრემლებით ვუვლი,
და გულს რომელიც თქვენ რომ არ გტკივათ.

***

გალამაზდა სიკვდილი,
ყვავილებით შემოსეს,
მომღიმარი ხვდებიან,
გამსვლელსა და შემომსვლელს.
სხედან ჭირისუფლები,
თითქმის აღარ ტირიან,
ხვდები სიკვდილ-სიცოცხლე
უკვე რა მარტივია.
ყვავილები საბრალო
ვალს იხდიან უბრალოდ,
კრძალვით გაყურადებენ
თქვენს სატკივარს თუ „გალობთ“.
გალამაზდა სიკვდილი,
ყვავილებით შემოსეს,
მომღიმარი ხვდებიან,
გამსვლელსა და შემომსვლელს.

***

შენ ჩემი შუქნიშანი ხარ,
მარადიული ნათებით,
მუდამ ერთმანეთს დავეძებთ
სხვადასხვა მისამართებით.
შენ ჩემი შუქნიშანი ხარ,
დაგინახავ და ვჩერდები,
დამინახავ და წითლდები
და გაღიმებას მჯერდები,
მერე სად წავალ არ ვიცი,
როცა შენ არ გამინათებ,
როცა შენ აღარ დამიცდი,
როცა შენ არ გამიმართლებ.

***

გარეთ თოვლია, სითეთრე მოსავს
ყველაფერს, რასაც თვალით უცქერი
და ელავს თოვლი, როგორც ულექსოდ,
შემორჩენილი თეთრი ფურცელი.
მოვა ვიღაცა, ფეხებით დაწერს
თოვლზე სტრიქონნებს,
დაკეტილ კართან,
შეგვეხარბება, რადგანაც ამ წელს
თოვლში მიგვასწრო საყვარელ ქალთან.
შეგვეხარბება, რომ უჩვენობით
დღე აცახცახდა, გაფითრდა თრთოლვით,
რომ ჩვენზე ადრე დრომ იზეიმა,
ყოფნა იმედით, ქალით და თოვლით.

***

ხატავდა, გვჩუქნიდა, უხაროდა,
ტკივილი სევდაში გვპატიჟებდა,
სამშობლოს ტკივილით მწუხარობდა,
ტკივილის მოთმენით გვაგიჟებდა.
თან ახლდა სიწრფელე არნახული,
სინათლეს ტოვებდა გაცინებით,
ღიმილში ჭარბობდა გაზაფხული,
საკუთარ ტკივილთა დამცირებით.
და როცა ზამთარი ჩაუსახლდა,
არჩია გაძლება მდუმარებით
და როცა სიკვდილი ჩაუსაფრდა
მოიხმო ღვთიური მკურნალები.
ვერ შესძლო მუდმივად გადარჩენა,
წავიდა მდუმარედ, განგვერიდა
და წასვლით ჩვენც წასვლა აგვაჩემა,
ითხოვა პატივი განგებიდან.
შემოგვრჩა ღიმილი ფერწასული
სურვილი ჩარჩოში არდარჩენის,
წავიდა, დატოვა მოგონება,
სურვილი სულიერ გადარჩენის.
ხატავდა, გვჩუქნიდა, უხაროდა,
მღეროდა სევდაში გვპატიჟებდა,
სამშობლოს ტკივილით მწუხარობდა,
ტკივილის მოთმენით გვაგიჟებდა.

***

ვიღაცა დარდის ღრუბლებზე დადის
და ნაწილდება დარდი წვიმებად,
თქვენ ნაწილი ხართ წვიმიან ამ დღის,
გაავდარდებით, ნუ გეწყინებათ.
თუმცა სისველე განწყობას ვერ ცვლის,
ისვენებ, ცისკენ გიჭირავს თვალი,
დროებითია ჭიკჭიკი მერცხლის,
დროებითია ფერები მკრთალი.
გამოიდარებს და ჩვენს სიშიშვლეს
ზღვა წაშლის, აქცევს ცისფერ ტალღებად,
მომხიბვლელობა მაჩუქეთ ამდღის
დროებითობა არ გენაღვლებათ.
ვეძებთ ერთმანეთს, დღითა და ღამით,
რაკი ერთმანეთს ვნახულობთ ვხარობთ,
ვართ ბედნიერი პატარა რამით,
არგვაქვს უფლება არ გავიხაროთ.
დამშვიდობების დადგება ჟამი,
დამეთანხმებით, რომ კიარ ხუმრობთ,
თქვენ მოისურვეთ, რომ გამიხსენოთ
რომ გამახაროთ და მინახულოთ.

***

სენსაცია ბატონებო,ინტერესნი სენსაცია,
ჩემნაირი ფეხსაცმელი,
ქუთაისში ბევრს აცვია.
მე რომ ჭრელი პიჯაკი მაქვს,
ცისფერი და ოდნავ ვიწრო,
მამაჩემის ნაქონია,
შემიძლია დავიფიცო.
როგორც იქნა მოვაღწიე,
თქვენამდე რომ დაგენახოთ,
ახალ წლიდან ტკივილები,
ჭირთან ერთად დაგემარხოთ,
მოგიტანეთ სურვილები,
ჩემი ფიქრის,ჩემი დარდის,
ჩემი თავით გეახელით,
ბევრი სხვისი თავით დადის.
ახმოვანებს ბევრი სათქმელს,
თავის სათქმელს ახმაურებს,
რომ გგონიათ დაჭკვიანდა,
დააკვირდით, ახლა ურევს.
ვარ მეკვლე და მოსინათლე,
ქალაქის და ჩემი ქუჩის,
მოვალე ვარ ვთქვა სიმართლე,
ჩემს ქვეყანას როცა უჭირს,
სენსაცია ბატონებო,
უშურველი სენსაცია,
მე გამხადეს, სხვას ჩააცვეს,
ჩემი კარგი სხვას აცვია.
როცა შენი სამშობლო გაქვს,
ვერ შეიძლებ არ გიყვარდეს,
გავამრავლოთ სიყვარული,
საქართველო აგვიყვავდეს.

***

მომიკითხე იმერეთი,
ქუთაისი მომიკითხე,
სამოთხეა კიდევ ერთი,
რატომ მიყვარს,მოდი,მკითხე.
რიონს ნუ ამიმღვრევ წვიმით,
კალმახები დამითვალე,
შავი ძროხის თეთრი ყველი,
იმერულად დამითალე.
ნუ მოყვები რა გსურს, რა ხარ,
ვინ ხარ,შუბლზე გაწერია,
წაგებულის მოგება ხარ,
პასპორტში რომ არ წერია.
დრო თვალებში იკითხება,
და ულვაში გიგავს წვერას,
არასოდეს შეაგინო,
იღბალსა და ბედისწერას.
მიმოკითხე იმერეთი,
ქუთაისი მომენატრა,
სათვალავში კიდევ ერთი,
საფიცარი მომემატა.
უჩემოდაც ბრძანე რაც გსურს,
ვინც გინდოდეს, დამილოცე,
გარდაცვლილი რომ ჰგონიათ.
ჭიქა ღვინით გამიცოცხლე.
შათირიშვილს შეეშველეთ,
სახლში თავის მიტანაში,
საარსებოდ ცოტა ფული,
ჩაუკუჭეთ გიტარაში.
ვინც დუმს,ისიც აამღეროს,
იმერეთში არ ტირიან,
ჰოდა,სადაც არ ტირიან,
იარსებო მარტივია.
ბევრი შეყვარებული მყავს,
ქუთაისი პირველია,
იმერეთი რომ მიყვარდეს,
ნეტა რა საკვირველია.
მომიკითხე იმერეთი...

***

გავისუსე უკვდავების შიშით,
მომიტანეს ყვავილები უხვად,
შენი მზერა მომელანდა ძილში,
ჩურჩულებდი სიკვდილივით მძულხარ.
შევიგრძენი სიყვარულის ძალა,
გამქრალიყო, წაეშალა დრო ჟამს,
შერჩენოდა გაცრეცილი ფერი
დრო და ჟამით გახუნებულ დროშას.
ჩემს სამარეს დავცქეროდი ციდან,
ვრწყავდი ვარდებს ამღვრეული ცრემლით
და ვტკბებოდი თითქოს წყნარად ცრიდა,
ივსებოდა მიწა ვარსკვლავთცვენით.

***

ლამაზი ქალისთვის ვაწვალებ,
უძილოდ დავღლი თვალებსა,
ვარსკვლავებს გავანაწყენებ,
გადავიკიდებ მთვარესა.
რკინის კარს შევხსნი ანჯამებს,
ცრემლით დავალბობ რკინასა,
სხვა რამე უფრო მაჯავრებს,
უჩემოდ როგორ გძინავსა.
სიზმარსაც გავანაწყენებ,
ვანანებ ღამით მოსვლასა,
დარდს შეგყრი, აგათვალცრემლებ,
ცრემლებით რწყავდე მგოსანსა.
ლამაზი ქალის გულისთვის...
თვალს ვაიძულებ გიცქერდე,
იმასაც გაპატიებდი,
სიკვდილს სურვილით მიმცემდე.

***

წავართვი სხეულს გული და ვისვრი,
არაა ღირსი სხეულში დარჩეს,
ვისვრი იმიტომ, რომ ტკივილს ვიხსნი
და უგულობა ცხოვრებას მაჩვევს.
მაგრამ ვინაა ის ვისაც ვენდე
და ჩემი გული წაიღო განძად,
ყოველდღე ვფიქრობ ამაზე დღემდე,
უგულობაში დროებას ვბაძავ.
ვინაა ვფიქრობ, ვითმენ და ვშიშობ,
ჩნდება იმედი და ნათელს მაცმევს,
ზეციურია შიშველი პირმშო,
რომელსაც ძალუძს უტიფრად გამცეს
ღმერთია, სიტყვა რომელიც ვერ ვთქვი
ვერ გავაგონე ჩემი ხმა გამჩენს.

***

ვინ დამინგრია გელათი,
ანდა ახალს ვინ მიშენებს,
გასაჭირშია ყელამდი,
ყვირის ტაძარი: მიშველეთ!
ქართველ მეფეთა საძვალეს
ცრემლები დასდის ბზარიდან
დამეხმარეთო გვაძალებს,
ტკივილი ჟონავს ზარიდან.
შემოსცხე, ძმაო შემოსცხე!
ცაში გაკიდულ მაგ ზარებს,
გაწყალებულმა, ცრემლებმა
ტაძრის კედლები დაბზარეს.



თემურ ჩალაბაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თემურ ბეჟანის ძე ჩალაბაშვილი.

ზეციური საქართველოს მკვიდრთ შეუერთდა კიდევ ერთი დიდებული შემოქმედი, რომელსაც არასდროს არ უღალატია იმ დიადი ცნებებისთვის, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ - ილია მართალმა სამოქმედო ორიენტირებად დაუტოვა შთამომავალთ - მამული, ენა, სარწმუნოება.

თემურ ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1976 წელს დაასრულა.

თემურ ჩალაბაშვილმა საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მუშად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წამყვან რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ განყოფილების გამგედ, თსუ ჟურნალისტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობაზე კი თანათავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა და თანამოძმეთ სათნოების, კეთილშობილების, მოყვასის უანგარო სიყვარულის უებრო მაგალითებს აძლევდა.

თემურ ჩალაბაშვილის სამწერლო კურთხევა 1971 წელს შედგა, როდესაც სრულიად ჭაბუკმა ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა მისი პირველი ლექსები.

მას შემდეგ თემურ ჩალაბაშვილის ნაწარმოებები - ლექსები, ნოველები, ლიტერატურული წერილები, ჩანახატები, მოგონებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

თემურ ჩალაბაშვილის პოეტური კრებულები „მზე მამულის კვამლში“, „წვა შეგიძლია“, „პოეტის ასი ლექსი“, „ატირეთ წვიმები“, „საუბარი გულთნ“, „ჟამსა უჟამოსა“ შეიყვარა და გაითავისა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ ამ კრებულების ლირიკული გმირი ერთი უბრალო ღამის მეხრე თუ გუთნისდედაა, ლამის ყველასა და ყველაფრისადმი რწმენადაკარგული და გულგატეხილი, ერთადერთ იმედად რომ ის ხარები დარჩენია, საუკუნეების უღრანებიდან რქებზე სანთელდანთებულნი რომ მოისწრაფვიან ჩვენკენ და გვაფრთხილებენ, თუკი არსებობა გწადიათ, მაცხოვარის მადლსა და მირონს არ უღალატოთო... დიახ, რაზეც არ უნდა ეწერა თემურ ჩალაბაშვილს, დედის დაშაშრულ ხელებსა თუ შუშანიკ დედოფლის დილეგში შეღნეულ ათინათზე, ჰამლეტ გონაშვილის ხმის მინანქრებსა თუ მარიკა ჩიქოვანის იგავმიუწვდომელ სიყვარულის ნიჭზე, ყველგან და ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის ზარებს არისხებდა. მას ხომ ქუჩაში მოკლული ბებერი ძაღლის დატირება შეეძლო, რადგან ეს საზარელი აქტი მისთვის კაცთა ერთგულების დასჯას წააგავდა. ის პოეტი იყო, გაზაფხულივით რომ ივსებოდა შემოდგომის სევდიანი ფერადებით, თოლიას წააგავდა, დაღლილსა და გათანგულ თოლიას, ზღვის უკიდეგანობაში გამომწყვდეულს, მას ხომ პაპის დაკოჟრილი და ნაჯაფარი ხელისგული საქართველოს რუკას აგონებდა, დაჩეხილსა და დამცრობილ რუკას...

თემურ ჩალაბაშვილის ლექსი, შუშანიკ დედოფალს რომ მიუძღვნა, ოქრომკედით ამოიქარგა მეწამულ ხავერდზე და ახლა მეტეხის ტაძარში საქართველოსთვის წამებული დედოფლის საფლავს ამშვენებს. პოეტის ლექსზე „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!“ შექმნილ ჰიმნს საქართველოს სულიერმა მწყემსმა ილია მეორემ მართლმადიდებლობის სიმღერას უწოდა, ხოლო ლექსი „სანთელი“ თავად იქცა რელიგიურ სიწმინდედ...

თემურ ჩალაბაშვილის კალამს ეკუთვნოდა არაერთი ნოველა და პუბლიცისტური სტატია; იგი მრავალი წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი იყო.

თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ ენებზე.

პოეტის მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მინიჭებული ჰქონდა დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ლევან გოთუას სახელობის, „საგურამოს“ და „მუზას“ პრემიები, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდებები, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ...

ნოემბერში დაბადებულს ჟამსა უჟამოსა მიმინოსავით დააცხრა თავს დეკემბრის ალეწილი ქარები და თან გაიყოლა სული მისი - თეთრი მოცხარი...

ქართველ მწერლებს, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს ისღა დაგვრჩენია, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს გვახსოვდეს სამშობლოს მსახურებაში ბოლომდე ჩაფერფლილი შემოქმედი და მამულიშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სანთელივით ჩაიღვენთა

იგი გამორჩეული პოეტი იყო და ქართველ მწერალთა ოჯახის ერთი ხელმძღვანელთაგანი.

უანგარო პიროვნება, მლმობელი გულის პატრონი და გარემოებისგან დაჩაგრულის ქომაგ-მფარველი გახლდათ.

ოცნებობდა გაწეწილი საქართველოს გამთლიანებაზე.

ოცნებობდა დროზე, როცა საქართველოში ის ხელისუფლება მოვიდოდა, რომელიც რუსთაველის იუბილეს გადაიხდიდა და მწერლებს „შეშლილი ხარისგან“ წართმეულ სასახლეს დაუბრუნებდა.

სანთელს შენატროდა, „ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლიაო“.

თემურს წვა უკვე აღარ შეუძლია, იგი სანთელივით ჩაიღვენთა.

სულეთს წაიღო აუხდენელი ოცნებები და მამულის უბედობისგან ატკივებული გული.

მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ საქართველოს ჭირისუფალს დღეს მთელი საქართველო ჭირისუფლობს. მისი სახელი კი იმ დიდ ხელოვანთა სულეთს შეუერთდდა, რომელთაც დავიწყება არ უწერია.

მაყვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
სოსო სიგუა
ბაღათერ არაბული



ვანო ჩხიკვაძე

მწუხარე ექსპრომტი

თემურ ჩალაბაშვილს,
თემურ შავლაძეს

კარგი აბა რაღა გვეყურება
შემინდე, გამჩენო,
გემდურები,
როგორც აქშეული ბეღურები
გაფრინდნენ სულები „თემურების“.

სიკვდილო, ამაოდ მორიელობ,
ხსოვნა ლექსისა და ღვთის მონისა
ცოცხლობს, ვიდრე ფეთქავს ღონიერი
მაჯა სიცხიანი სტრიქონისა.

27.12.2023

ჯუბა ღებელი

ჩემს თემურ ჩალაბაშვილს

რა უეცრად ჩარაზა,
დღემ ეს ღამე ვეება?!.
აღარა გვყავს ჩალაბა,
რა მეახალწლევება?!.

სიხარული კაიხანს,
გულში ვეღარ იბუდებს,
ახლა უკვე ხვალიდან,
ჩაიხუტებს დიდუბე!..

ხეებს რტოებმოტეხილს,
ცრემლები სდით ბავშვივით,
პარნასზეა პოეტი,
თემურ ჩალაბაშვილი!..

ვეფერები შორიდან,
ჩემს ძმასა და მეგობარს,
რა უკვდავი ყოფილა,
მოკვდავი რომ გვეგონა!..

ნიავივით მიჰყვება,
სიკვდილს, როგორც ზვარაკი,
ეს თბილისის ბოჰემა,
მზის ლექსებით მკაზმავი!..

რა უეცრად ჩარაზა,
დღემ ეს ღამე ვეება,
აღარა გვყავს ჩალაბა,
რა მეახალწლევება?!.

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

ქართული ლიტერატურის მწვერვალი და მსოფლიო ლიტერატურის მშვენება შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანია“.

რვასაუკუნენახევრის წინათ დაწერილმა ამ პოემამ მთელი თაობები აღზარდა რაინდობის, პატრიოტიზმის და ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

განსაკუთრებულია „ვეფხისტყაოსნის“ როლი გლობალიზაციით და ომების ფსიქოზით, შიშით დასნებოვნებულ ამ საუკუნეში მოქალაქეთა სულის გასაჯანსაღებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრის მიერ ჩატარებული პირდაპირი და ირიბი სოციოლოგიური გამოკითხვის (სულ გამოიკითხა 5 000-მდე ადამიანი) შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 62 პროცენტს „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული არა აქვს.

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის კეთილშობილური მიზნით მოგიწოდებთ 2024 წლის 1 თებერვლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით გაიშალოს „ვეფხისტყაოსნის“ მასობრივი კითხვის კამპანია.

შოთა რისთაველის უკვდავი პოემა წაკითხულ იქნას ინდივიდუალურად და კოლექტიურად თითქმის ყველა ოჯახში, დაწესებულებაში, გაიმართოს „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების ზეპირად მცოდნეთა ფესტივალები, პოემის გადამწერთა ნამუშევრების წარდგენა და კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჩატარებულ იქნას საჯარო ლექციები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ა. შ.

ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას თბილისში თავისუფლების პროსპექტზე გაიხსნას „რუსთაველის სახლი“, სადაც გაიყიდება „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე, მოგროვდება ხელნაწერები, ჩატარდება მეცნიერული მუშაობა პოემის ოპტიმალური ტექსტის დასადგენად.

„ვეფხისტყაოსნის“ უკვდავების ხელშეწყობა ყოველი ქართველის საშვილიშვილო ვალია.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ღირსეული ფილმი

მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში ამას წინათ ჩატარდა გამოჩენილი მწერლის რევაზ მიშველაძის შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ამ ძალიან საინტერესო ღონისძიებას ესწრებოდა ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილი. მწერალთა კავშირის ამ ისტორიულ დარბაზში მე პირველად ვიყავი საქართველოს ბუმბერაზი მგოსნის, გალაკტიონ ტაბიძის პანაშვიდზე და გამოსვენებაზე 1959 წლის 17 მარტს ჩემ თანაკლასელებთან ერთად. მცხეთაში მიხეილ მამულაშვილის მიერ დამზადებული თაიგულით მივედით მწერალთა კავშირში და იქიდან მივაცილეთ გალაკტიონი მთაწმინდამდე. ამას ვიხსენებ იმიტომ, რომ გითხრათ, თუ რა საპატივსაცემოა ეს დარბაზი ჩემთვის. ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს ბატონ რევაზის მდიდარ შემოქმედებას. უყვარს მისი არაჩვეულებრივი ნოველები, რომანები და კრიტიკული წერილები. ფილმის ავტორებს ნიკო ბაღაშვილს და მანანა გორგიშვილს მართლაც რომ მაღალპროფესიონალური, მხატვრულად სრულყოფილი, ღირსეული ფილმი შეუქმნიათ. მწერალმა დოკუმენტურ ფილმში გონივრულად ჩამოაყალიბა პრობლემები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს წინაშეა და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს ხელისუფლებისაგან - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, დემოგრაფია, ეკოლოგია, საკადრო პოლიტიკა და ა. შ. ასევე ობიექტურად ილაპარაკა ბატონმა რეზომ თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე და ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მწერლობის მიმართ.

ბატონი რეზო გულანთებული ჭეშმარიტი მამულიშვილი და ამავე დროს არაჩვეულებრივი და სასიამოვნო მთხრობელია. გასაკვირია, რომ ხანდაზმული ასაკის მიუხედავად გასაოცარი აზროვნება აქვს, შესაშური მჭერმეტყველებით საუბრობს მის მიერვე განვლილ ძალიან საინტერესო ათწლეულებზე.

რეზო ჩემი სიყრმის და ახალგაზრდობის მეგობარია და ამით ვამაყობ.

ჩემო რეზო, გისურვებ მხნეობას, დიდხანს იხარე შენს საფიცარ სამშობლოში.

მრავალჟამიერ ჩემო კეთილგონიერო, თხემით ტერფამდე ღირსეულო ქართველო!

ომარ მარგველაშვილი
აკადემიკოსი

ებრაელების დიდი მეგობარი

სასოწარკვეთილი თეოდორ ჰერცელი, ავტორი წიგნისა „ებრაელთა სახელმწიფო“ (1896, 14 თებერვალი, ვენა) უშედეგოდ ცდილობდა დაემტკიცებინა ევროპისათვის ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. მის ეპიგრაფს ერთ-ერთ წიგნზე: „თუ მოინდომებთ ეს არ იქნება ზღაპარი (1902) საფრანგეთმა, გერმანიამ, ავსტიამ, თურქეთმა და სხვა ქვეყნებმა უარით უპასუხა. ერთადერთი რაც ჰერცელმა მოახერხა იყო ბრიტანეთის მთავრობის შეთავაზება აღმოსავლეთ აფრიკაში - უგანდაში შექმნილიყო ებრაელთა ავტონომიური თემი, რაზეც ჰერცელი დათანხმდა.

კიშინიოვში ებრაელების დარბევამ გამოიწვია რუსი ებრაელების აღშფოთება. რუსმა ებრაელებმა ხაიმ ლუმანმა ნორდაუს ესროლა (1903, დეკემბერი), ხოლო ჰერცელი 1904 წ. 3 ივლისს გულის შეტევით გარდაიცვალა.

აი, ამ ფონზე საინტერესოა სტალინის მოღვაწეობა ებრაელთა სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით: სიმონ ბარ-კოხბას აჯანყების შემდეგ (132-136), რომის იმპერიის წინააღმდეგ, რაც რა თქმა უნდა, შეცდომა და დანაშაული იყო ებრაელი ხალხის წინაშე, ისრაელის სახელმწიფო 2 ათასი წლის განმავლობაში არ არსებობდა.

1934 წელი. სტალინი ქმნის ებრაელთა ავტონომიურ რესპუბლიკას შორეულ აღმოსავლეთში - დედაქალაქი ბირობიჯანი.

1945 წელი. 11 თებერვალს იალტის კონფერენციაზე რუზველტმა მოულოდნელად ჰკითხა სტალინს თუ რა აზრის იყო ის სიონიზმზე. პასუხმა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა არა მხოლოდ მთარგმნელზე - ჩარლზ ბოლენზე, არამედ თვითონ რუზველტსა და ჩერჩილზე, რომელთაც წაკითხული ჰქოპნდათ სტალინის ნაშრომი: „მარქიზმი და ნაციონალური საკითხი“: „პრინციპში, მე მხარს ვუჭერ სინიზმს, მაგრამ არის სიძნელეები ებრაული საკითხის მოსაგვარებლად. ჩვენი ექსპერიმენტი ბირობიჯანში ჩაიშალა, იმიტომ რომ ებრაელები ქალაქში ცხოვრებას ამჯობინებენ“. სტალინის პასუხი გამომდინარეობდა იმ აზრიდან, რომ ყირიმში ებრაული რესპუბლიკის დაარსება, როგორი ლამაზი და მაღალფარდოვანი სიტყვებით არ უნდა ყოფილიყო იგი შენიღბული, გარდაუვალად აღმოჩნდებოდა დენთით სავსე კასრი, როგორც რუსეთის, ასევე მთელი მსოფლიოს ებრაელობისათვის.

1945 წელი, 9 მაისი. სტალინმა დაამარცხა ფაშიზმი. ჰიტლერი მოკლეს და დაწვეს თავის ბუნკერში.

1948 წელი. სტალინი ბენ გურიონის თანადგომით ქმნის ისრაელის დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს აღთქმულ მიწაზე.

მე ვეკითხები მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს: რატომ ადევს ტაბუ ამ ისტორიას განსაკუთრებით ისრაელში და საქართველოში.

იაკობ პაპიაშვილი
იერუსალიმი

ვალერი კვარაცხელია

ეს წიგნი, როგორც სიბრძნის სალარო...

მინაწერი რევაზ მიშველაძის რომანზე -
„ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“

ეს წიგნი, როგორც სიბრძნის სალარო -
არცა ძნელი და არცა ადვილი,
სადაც ნამდვილი ნამდვილია და
გამოგონილი - უფრო ნამდვილი...

გადაწნულია აქ ერთმანეთთან
შემთხვევები და ბედისწერანი,
ამ წიგნში სუნთქავს დიდი ეპოქა,
ამ ეპოქაში - დიდი მწერალი...

არის სიტყვები, - შვილი... სამშობლო...
არის საწუთრო, გაუტანელი,
არის სასტიკი სიტყვაც, - შეწირვა
და... რეალობა, აუტანელი...

არის საფლავის გზა და სიმშვიდე,
ცა ოქროსფერად დანაფერია,
არაფერია როცა სიცოცხლე,
მაშინ სიკვდილიც არაფერია...

შენ არ გჩვევია მიპარვით მისვლა
ზურგსუკან ბადის ხლართვა ჩუმ-ჩუმი,
სიტყვა ღმერთია, ჯერ იყო სიტყვა,
სიტყვა იყო და არა - ჩურჩული...

შენ არ გჩვევია გულნამცეცობა
და ნემსის ყუნწში გავლა-ძრომანი,
შენი ყოველი დღე ნოველაა,
შენი ცხოვრება - ვრცელი რომანი!

ვაჟა „ვაჟას სამყაროში“

არა - ნაირად არ მემეტება ეს წიგნი გვერდზე მისადებად. არადა, ორიოდე წელი გასულა მისი გამოჩენიდან, „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი“! როზა დევდარიანის „ვაჟას სამყაროზე“ ვამბობ, სხვის დუმილს ჩემიც რომ მიმატებია და თითქოს დარცხვენილი ბავშვივით კუთხეში დგას. ავტორიცა და წიგნიც ლამის ალმოდებულია ვაჟათი, ორივენი ანათებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სინათლე შორს ვერ მიდის.

რა უნდა დაიწეროს ვაჟაზე ახალი? ვინ მონახავს იმდენ მიუგნებელსა და მიუკვლეველს, ხუთას გვერდზე მეტი ფართი ამოავსოს? ამდენხანს ვეცნობით ვაჟას და საერთოდ ვერ მივკარებივართ, არ გაგვივლია მის სიახლოვეს?

ეს მომცრო შესავალი ვინმეს გასაღიზიანებლად ნამდვილად არ დამიწერია. თუ მაინც გაღიზიანდება, საკუთარი მუხუდოს მარცვლები დაითვალოს ჩრდილში, დაფიქრებით, წყნარად. თუ ვერ გამოუვა სასურველი ანგარიში, გადმოთვალოს კიდევ და ასე გაერთოს. ხოლო როზა დევდარიანი „ვაჟას სამყარომდეც“ ათეულობით წერილისა და მონოგრაფიის შესაქმნელად ამაოდ არ ღვრიდა ოფლს, ვერცერთ მის დაწერილ-მონათხრობს, ნაკვლევ-ნაძიებს მოჩხირკედელეც კი ვერ დასდებს წუნს. მთელი ცხოვრება ჩვენი მწერლობით საზრდოობს იგი და ახლაც ამ მწერლობის მთავარ სადინარზეა მიერთებული.

„ვაჟას სამყარო“ სახელდახელოდ დაწერილი წიგნი არაა. ვერ ვიტყვი, მთელი ცხოვრება შეალია მას ავტორმა თუ ნახევარი, მაგრამ საკმაოდ ასაკოვანი რომაა მისი ნაღვაწი, წყალი არ გაუვა. შეუძლებელია ვაჟა გადარბენით დაძლიო, გადარბენით შეიგრძნო მისი პოეზიის სისხლის გემო, აჩქარებით აუყვე ვაჟას მთას და ამ მთის მწვერვალს მიეახლო გულგაუხეთქელმა.

როზა დევდარიანს კარგად მოეხსენება, რამდენი მთასვლელი გამოუჩნდა ვაჟას ადრიდანვე, ვის როგორი მუხლი ჰქონდა, სადამდე ააყოლეს მზერა ბუმბერაზ სიცოცხლეს, სადამდე აჰყვათ სული, სადამდე ივაჟკაცეს. არაერთ მათგანს პატივისცემით იხსენებს, იმოწმებს კიდეც, ასეც უნდა მოქცეულიყო პროფესიონალი და ასეცაა. პატივგება ამ მთასვლელების მიმართ ზნეობის გამოხატვაცაა, დასუფთავებული ზნეობის, რაც უფლებას აძლევდა მას, თვითონაც ეცადა ბედი.

ცოდნა - გამოცდილებამ, ეტყობა, ცხადი გახადა, წინასწარი დაკვალიანებისათვის შემზადება ხანგძლივი გამოვიდოდა. სიყვარულის გამოცხადების სურვილი თუ გაწუხებს, რას სჯობია ამას, მაგრამ განსხვავებულად თუ გინდა გამოხატო ეს სურვილი, თანაც ვაჟას მიმართ, მხოლოდ გულის აფრიალება არ იკმარებს, ამასთანავე, შენამდე შეყვარებულების ლექსიკონშიც უნდა ჩაიხედო. რამდენადაც ჩანს, ეს შემზადება, მადის აღძვრასთან ერთად ნანადირევის მოპოვების იმედითაც შემაგრდა, მაგრამ მთაზე ასვლა არა რომელიმე გამორჩეული მხრიდან კი არ გადაწყდა, არამედ წრიულად, ირგვლივეთით, თანდათანობითი ამაღლებით, გზადაგზა თუ ბილიკ - ბილიკ, ძველ მთასვლელებსაც რომ გაუსინჯავდა ნანადირევს, როგორც იტყვიან, თვალსაც წყალს დაალევინებდა და „ღმერთთან მოლაპარაკე“ კაცსაც ახალმთასვლელობის მიზეზსაც აუწყებდა.

როზა დევდარიანმა წარმატებით შეძლო შეეკრიბა უამრავი ვაჟა და მიეღო ვაჟაფშაველა. მისგან წამოწყებული ექსკურსიით შორეულ და ახლო ფშავ - ხევსურეთში, ვაჟას საწინაპრო-საგვარეულოში, თავად ჩარგალში, მითოსურ-ზღაპრულ ბასეინებში, თითოეულ ლექსსა და პოემაში, მოთხრობებში, პიესებსა თუ წერილებში, ზუსტ სახელს რომ ვერ მოუნახავ, იმგვარი შთაბეჭდილებებით დაგვანახა და გვაგრძნობინა ამოყივლებული სულის მარადიული სინედლე, ცხოვრების გაზაფხულიც რომაა, ზაფხულიც, შემოდგომაც და ზამთარის. ამ წიგნის ავტორი როცა მკვლევარია, დაბეჯითებით საუბრობს მოხმობილი ფაქტებით, გადაწვდება ხოლმე წინარე ქრისტიანულ ჟამ - სივრცეებს, კაცობრიობის ნაგროვებ ცოდნას - დასაჯერებელსაც, დაუჯერებელსაც, თავად ქრისტიანულსაც, რამდენადაც საჭიროებს, რამდენადაც უერთდება იგი ნაკადებად ვაჟას სიტყვა-ნაზრევს, ისტორიაც აქაა, გეოგრაფიაც, ფილოსოფიაც, ეთნოლოგიაც, მოაქვს და მოაქვს გარდასული ნაკვერცხალიცა და ცეცხლიც. ისიც კვლევაა, რასაკვირველია, თითოეულ ლექსის ბუჩქს რომ მიუჯდება, ვითომ ბუჩქს და ამ ბუჩქის უზარმაზარი ტოტების ქარიშხალში გვაქცევს, ძალიან ეახლობლება სალექსო წვენს და თამამად გვარწმუნებს პოეტის მოთოკილ თუ მოუთოკავ გამზერილობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ჩვენთვისაც, მკითხველისთვის, ცნობილია როზა დევდარიანის ამ ახალი წიგნიდან, გულისნადების სიწრფელითა და გაბედულებით თხრობა ერთ-ერთი არსებითი იარაღი გამოდგა, „ვაჟას სამყაროს“ ავტორს დავუჯეროთ, მისეული სიახლოვის წარმოჩენა ვაჟას მხატვრულ სამზერებთან, ორიგინალობითაც რომ გვხიბლავს და საკამათო განწყობილების შექმნითაც. განსაკუთრებით ყურადსაღებია ქვეტექსტის დამუშავებისა და გააზრების, ალეგორია - სიმბოლოების „გადმოთარგმნის“ შემოთავაზებანი, ზოგჯერ სხვადასხვა დატვირთვითაც რომ გვესახებიან ანუ მსხმოიარობით გვაოცებენ, ძალაუნებურად გამოგვაცლიან ხელიდან ტექსტის ზედაპირულ პალიტრას და გვაიძულებენ სიღრმეთა ამოკითხვით გარეგნული ანუ პირდაპირი მოცემულობა მხოლოდ საცდელ სავარჯიშოდ ჩავთვალოთ. სწორედ მხატვრულ სამყაროზე საუბრისას ცდილობს მკვლევარი, დაგვარწმუნოს, რატომაა ესა თუ ის ლირიკული ან პროზაული ქმნილება სხვა განზომილებით შემოთავაზებული ნააზრევი და არა ის, რასაც ვხედავთ, რასაც დავჩერებივართ.

რასაკვირველია, ამოდენა წიგნში, საჭირო აღმოჩნდებოდა, გარკვეული სტრატეგია, საკითხთა დალაგება, თანდათანობით მზარდი და განმტოებული, რათა ერთხელ თუ ჩაავლებდი მკითხველს ხელს, მერე და მერე თავად არ უნდა მოგშვებოდა, გზა-გზა აგეკიდებოდა, თანაც ოდნავ თუ მაინც ხათრი ჰქონდა ვაჟასი, თვალსაც არ მოგაცილებდა. ამიტომაც მკვლევარსაც მეტი უნდა გაეცა, მეტი მოენდომებინა. ასეცაა. ჩამოთვლაც ცალკეული მონაკვეთებისა და მათი შიდა დანაყოფებისა რამდენიმე გვერდს დაიტევს, მაგრამ მაცდურობას სად წაუხვალ! ჯერ ლეგენდურ-მითოსური სამყარო აღიმართება, ესეც მთის რომაა, თუნდაც ფშავ-ხევსურეთისა და შემდეგ გადმოსახლებულია ვაჟას ზეცაში, ავივსებით დევ-კერპებით, კოპალა-იახსარით, ქაჯებით, ეშმაკებით, მფრინავი ჯვარ-ხატებით. შემდეგ ჯვარი და საყმო გამოდის ასპარეზზე. აქაც მთის ტრადიციები და შრეებად დაშლილ - დაცალკავებული დინებები მოჩანან, ესენიც რომ მოსვენებას არ ძლევდნენ პოეტს და ისიც ჩადიოდა წარსულში, ერთ წამოღებაზე, რასაც მოერეოდა, მოჰქონდა, დაბრუნებისას თავის ქოხში დააბუდებდა, გამოქნიდა, გამოჩარხავდა, ახალ ტანსაცმელ ჩააცმევდა, ახალ სულსაც შთაბერავდა, ხურჯინში ჩაალაგებდა და სათბილისოდ გაემზადებოდა... თანმიმდევრობას დავარღვევ - მალე ჩარგალიცა და რაზიკაანთ კარიც გამოჩნდება, შემდეგ ფშაველების ყოფაზეც დაყოვნდება მკვლევარი და თუკი რამ მოეძევება, წაკითხულიდან, განაგონ-მონაყოლიდან ჰკინძავს და ფართოდ გვახელინებს თვალს. ვაჟას პიროვნებაც, მისი ხასიათი, ბუნება-განწყობილებანიც თუ არ შეგვახსენა, საქმე მოთავებულად არ მიაჩნია. უფრო მეტ სანდოობას ამ მხრივ ლექსებს ანიჭებს და იქედანაც მშვენივრად გამოიყურება პოეტი, როგორც კაცი, როგორც ადამიანი. ამითაც ვმარაგდებით. უკვე ბევრი რამ ვიცით პოეტის საწინაპროზე, შორეულსა და ახლოურზე, გვარის წარმომავლობაზე, თუ როგორ მივიდნენ რაზიკაშვილობამდე, პავლეც, ვაჟას მამაც, კარგა მოზრდილ პერსონაჟად ჩადგა ამ წიგნში, დედაც, შვილებიცა და ცოლიც (ცოლები) და ამის შემდეგ, რასაკვირველია, უფრო დიდი ვაჟა გვინდა, ვაჟა მთის წამკითხავ - მესაიდუმლე, ვაჟა დაბურული ტყის ბინადართა მეგობარი, ვაჟა მთის და ტყის ამლაპარაკებელი, ამ მთიდან თუ მთებიდან და ტყეებიდან ამოფრენილი ვაჟა, მთელ ქვეყნიერებას, მთელ მსოფლიოს ამათში და აქედან რომ ხედავდა, გვინდოდა და მივიღეთ კიდეც, ფეხდაფერ მისდევს წიგნის ავტორი ვაჟას და მკითხველიც, თუ მართლა მკითხველია და არა მხოლოდ მკითხველი, ცოტა მეტი დანახარჯიც რომ მოუწევს, ისეთი, ანუ წნევა ხანდახან რომ ეცვლება, ვინაიდან დაბურულ ტყეში, მთას რომ შევეშვათ, მოულოდნელობებიც მოსალოდნელია, იქ ყველგან ვაჟა ხმიანობს, ვაჟა ბუხუნებს, ვაჟა ტირის, ვაჟა ცრემლებითაა დალუმპული, მაგრამ თვითონ არ ჩანს, სადღაც იქვეა, მაგრამ არ ჩანს... ასეთ სცენებს აწყობს როზა დევდარიანი, თეატრალური სივრცე არ უშვებს, თუ რა!

როზა დევდარიანი ცდილობს და კვლავაც დიდებულად ახერხებს სული გაუხსნას ვაჟას პოეტურ დრამებსა და ტრაგედიებს, ამჟამობაშიც ციხესიმაგრეებივით რომ შემოგვცქერიან და გვიკიჟინებენ, რამენაირად შევნიშნოთ ჩვენი სინაკლულე და სიცარიელე, მოუთავებელი ადამიანის სიამაყე, ამ გამზადებულ ციხესიმაგრეებში თუ სკოლებში ვიაროთ და დაკვირვებით ჩავხედოთ თვალებში ალუდას, ჯოყოლას,აღაზას, ლელას,კვირიას,-მინდიას, ლუხუმს, ზეზვას...პიროვნება თუ გინდა იყო, ასე უნდა მოიქცე. სხვა სატკივარს თავი რომ დავანებოთ, თემისა და პიროვნების დაპირისპირების პრობლემა ისევ კართანაა ატუზული, არც სტუმარ-მასპინძლობაა დალაგებულად გამომყურე ისევე, როგორც ილიას თათქარიძეობა ვერ მოგვიცილებია და ხიდები კვლავაც ჩატეხილია. ბევრი რამაა კიდევ ამოუწეული ვაჟას პოემებიდან და მოთხრობა - ეტიუდებიდან სადღევანდელო სატკივარადაც რომ მიგვაჩნია და წარამარა ფეხებში გვედება. ამიტომაც იყო საჭირო ასე შევსება - შეერთებულად წამოგვდგომოდა, დაგვენახა ყველანაირი ვაჟა, ერთი უბრალო ჩარგლელი გლეხი ღმერთკაცად ქცეული, რომელსაც მიწის სუნი ასდიოდა და ცასაც იოლად წვდებოდა, გრიგოლ ხანძთელის არ იყოს, მიწისაც იყო და ცისაც, კვლავ ასეთად რჩება. ესაა მთავარი სათქმელი „ვაჟას სამყაროს“ , ასე ლაღად და დახუნძლულად რომ წარმოგვიდგინა როზა დევდარიანმა.

თითქმის ყოველთვის ვერიდები ამონარიდების მოტანას. ახლაც თავს ვიკავებ, ვინაიდან მთლიანადაა ეს წიგნი სათვალსაჩინო, მთავარი გზითაც, ბილიკებითაც, ყველგან ვაჟას ხმა ისმის, ყველგან ვაჟა მოძრაობს, თითქოს დაუსრულებელ ფილმს ვუყურებთ, არ ცხრება რეჟისორი, არ ეშვებიან შემოჯარული პორტრეტები, ისტორიიდან რომ წამომართულან, ლირიკიდან რომ იცქირებიან, პოემებიდან, მოთხრობებიდან რომ გამოსულან, მიუტოვებიათ იქაურობა, მიუტოვებიათ და, აგერ, საჩვენოში მოუტანიათ თავი.

ზემოთაც ვთქვი, რომ ვაჟას შესახებ იმდენი რამაა დაწერილი, ძნელია სრულიად განსხვავებული როლი მოირგო და უპოვებელი ეძიო ჯიუტად. როზა დევდარიანმა პატივმისაგები და ანგარიშგასაწევი ვინც იყო, ანუ მათი ნაშრომ-ნაღვაწი სადაც გასათვალისწინებელი იყო, გაითვალისწინა. არ დავიწყებია ისინი. თუმცა მისი „ვაჟას სამყარო“ მხოლოდ სხვის ბეჭებზე არაა შემდგარი, მისიცაა აქ, ამ წიგნში, განსაკუთრებით პოეტის საზრისის, ლირიკული თვითმყოფადობის, ეპიკური სიმაღლეების წარმოდგენისას.

ისევ ხაზგასმით უნდა ითქვას, წერის კულტურისა და ხარისხის შესახებ, რაც ერთერთი ანუ ძირითადი მხსნელია ამოდენა წიგნის, ამოდენა ინფორმაციის, აჩქარებითაც არ აგაჩქარებს, მაგრამ არ გღლის, გეძლევა და ღებულობ, კითხულობ და ხედავ კიდეც, რასაც კითხულობ, სურათდება ტექსტი, არ მდორდება, მოძრაობს, მიდის და მიდის.

„ვაჟას სამყარო“ ყველას გამოადგება: პროფესიონალებსაც, არაპროფესიონალებსაც, განსაკუთრებით იმათ, ვისაც აწი უწევს ვაჟას წაკითხვა, ვაჟასთან მიახლება, უკეთესი მეგზურის ძებნა სხვაგან არ მოუწევთ. ასეც ვთქვათ: თუ ჯერ ვაჟას ჩახედავენ და მერე ამ „სამყაროსაც“, არ იქნება გასაკვირი, მეორე-მესამედაც რომ მიუბრუნდნენ პირველ არჩევანს.

ამრიგად, როზა დევდარიანის ნაშრომ-ნაღვაწი „ვაჟას სამყარო“ არ მიეკუთვნება ისეთი წიგნების წყებას, კანტიკუნტად რომ უნდა მოვიხსენიოთ. ბოლოსდაბოლოს იგი უდიდესი სიყვარულის გამოცხადებაა ვაჟასადმი და, მოგეხსენებათ, ვინც გულწრფელად გვიყვარს, იმასთან კი არ ვკეკლუცობთ, ცეცხლიც გვიკიდია და ღირსებებითაც ვძვირფასობთ.

გია ხოფერია

რევაზ მიშველაძე

რევაზ მიშველაძის და თემურ პირტახიას დიალოგი

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, საქართველოს სახალხო მწერალმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველაძემ 2020 წელს თავის მშობლიურ სოფელს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თარგამეულს (თამაკონს) აჩუქა მის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე მოგროვილი 3 500 წიგნი. უნდა ვთქვათ, რომ ეს ფაქტი უპრეცენდენტოა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ წიგნების ბაზაზე ამჟამად თარგამეულში გახსნილია ბიბლიოთეკა, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის სახელობის ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ცნობილი მეცენატი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე თემურ (ბურდა) პირტახია, რომელიც თითქმის ორმოცი წელია სოფელს სათავეში უდგას და ამავე დროს არაერთი ისტორიულ-კულტურული საქმის მოთავეა. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ბატონმა ბურდამ ცხრაჯერ გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“.

ვაქვეყნებთ რევაზ მიშველაძის და თემურ პირტახიას დიალოგს.

ბურდა პირტახია - ბატონო რევაზ!

აფხაზეთიდან დევნილებმა დოდო სიგუამ ბიბლიოთეკას შემოსწირა თქვენი წიგნი „ოცდახუთი მრისხანე წელი“.

დავასრულე წიგნის წაკითხვა. არ დაგიმალავთ, ძალიან მომეწონა, თან ამ წლების მოგონებებში გადამისროლა. იგი უსათუოდ დაინტერესებს მკითხველს და წაადგებათ ასევე საქართველოს უახლესი ისტორიის შემქმნელ ავტორებსაც. წიგნში უხვადაა ფაქტები ძალიან საინტერესო თემებზე, ეს არის პერიოდი, რომელიც ჩვენც გავიარეთ. გავიარეთ პერიოდი, როცა არ გვქონდა ცხოვრების ელემენტარული პირობები. უშუქობა, უიმედობა და დაძაბული ატმოსფერო გვდევდა თან. მხედველობაში მაქვს არეულობის წლები, იარაღის სისტემატური ჟღარუნი, ძმათა მკვლელი ომები და ქაოსი. გაყინული ხელფასები, პენსიები, ჩამორთმეული შემნახველი ბანკის წიგნაკები, სრული უყურადღებობა და რაც მთავარია, ჩამორთმეული უფლება ადამიანური ცხოვრებისა.

თქვენს წიგნში ეს ბრწყინვალედ და ქრონოლოგიურად გაქვთ აღწერილი. რა თქმა უნდა, თქვენთვის ამ დღიურების წერა, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისათვის, ძნელი იქნებოდა. წარმოდგენილი მაქვს დღიურების წერისას რამდენჯერ შეგიწყვეტიათ წერა და დარდს მისცემიხართ.

ჩემთვის, რიგითი ქართველისათვის, ძნელი იყო ამ ჩაშხამული და წართმეული წლების მოგონებებში ჩაძირვა და ყველაფერი გადატანილის მოგონება. მაგრამ იმდენად საინტერესოდ გაქვთ ეს პერიოდი თქვენს მემუარებში აღწერილი, რომ ყოველ საღამოს თვალი წიგნისაკენ გამირბოდა და თავისუფალ დროს მის კითხვაში ვატარებდი.

წაკითხვის დამთავრებისთანავე დამებადა აზრი დაგისვათ რამოდენიმე კითხვა, ბატონო რევაზ, და იმედი მაქვს ისეთივე გულწრფელი იქნებით პასუხებში, როგორც იყავით მთელი თქვენი შემოქმედების პერიოდში.

ბატონო რევაზ!

გთხოვთ თქვენებურად მოკლედ დაახასიათოთ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტები:

ნოე ჟორდანია;

ზვიად გამსახურდია;

ედუარდ შევარდნაძე;

მიხეილ სააკაშვილი;

გიორგი მარგველაშვილი;

სალომე ზურაბიშვილი.

- ნოე ჟორდანიას, როგორც თავიდანვე სოციალ-დემოკრატს, საქართველოს დამოუკიდებლობაზე არც უფიქრია, მაგრამ რაკი ისტორიამ ინება მისი დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოქცევა, რა გაეწყობაო, გაიფიქრა, თუმცა ორთავიანი არწივის შიშით ღამეები არ ეძინა. როცა სოღანლუღიდან 1500 რუსი ტყვე კარზე მიაყენეს, შეძრწუნდა, ამათ რომ რამე მოუვიდეს, ლენინი და სტალინი ყურებით ჩამომკიდებენო. რამდენიმე დღეში „ე მანდ მართლა არ გავიმარჯვოთო“ (რეზო გაბაშვილი). შუაღამისას თავისი მთავრობით მიატოვა საქართველო და გაიქცა.

ზვიად გამსახურდია ჭეშმარიტად ეროვნული კაცი იყო. დისიდენტური მოძრაობიდან მოსული. მისთვის სამშობლოს თავისუფლება უმაღლესი და ერთადერთი იდეალი იყო. მან თავისი ქარიზმატულობით და უკომპრომისო ბრძოლით მართლაც მიაღწია კომუნისტური მონობიდან ქვეყნის გამოხსნას, მაგრამ, როგორც თქვენს მიერ დასახელებულ წიგნში ვწერ, სოლომონ ბრძენიც რომ ყოფილიყო, რუსეთი ზვიადს მაინც დაამხობდა. ევროპამ (კერძოდ საფრანგეთმა) ჟორდანიას მთავრობა შეიფარა, მაგრამ ზვიადის დროს სხვა ვითარება იყო, რუსეთმა ჰიტლერს კბილები ჩაუმტვრია და მე რას მიზამსო, გაიფიქრა მშიშარა საფრანგეთმა და ზვიადს თავშესაფარი არ მისცა. ასე გაწირა მსოფლიომ საქართველოს მეორე პრეზიდენტი.

საერთოდ კი ზვიად გამსახურდია ჩემთვის ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითია.

ედუარდ შევარდნაძე გამოცდილი, ჭკუადამჯდარი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მშიშარა, იგი ვერ გათავისუფლდა რუსეთის ვასალის, რესპუბლიკის ცეკას მდივნის სინდრომისაგან. უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი იყო, როცა თვითმფრინავში ინტერვიუს მიცემის დროს წამოცდა: „ვუთხარი ელცინს, თუ არ მოგწონვარ, გამათავისუფლე, ჩემს გზაზე წავალ-მეთქი“. როცა აფხაზეთის ომში ერთადერთი შვილი დამეღუპა და ცოტა ხანში სნგ-ში შევბრუნდით, მივედი მასთან. თუ სნგ-ში შევდიოდით, რატომ შეახოცე ხალხი მტერს-მეთქი. დაფიქრდა და ყრუდ ამოილაპარაკა - რეზო, შენ მართლა პრეზიდენტი ხომ არ გგონივარო, როცა უნდა რუსი ამ ჩემს კაბინეტში ჩამოუშვებს „გრუპა ზახვატას“ და კურდღელივით ამიტაცებენო. ხომ არ გგონია, ან მებრძოლი არმია გვყავს და ან შეიარაღება გვაქვსო, შენზე არანაკლებად განვიცდი, ჩემო რეზო, შენი აჩიკოს დაღუპვასო. ა, ეს იყო შევარდნაძე.

ზოგ ბეც ისტორიკოსს ჰგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი რევოლუციურ ტალღაზე მოვიდა საქართველოს პრეზიდენტად. ეს მტკნარი სიცრუეა. სინამდვილეში არავითარი „ვარდების რევოლუცია“ არ არსებულა. ამერიკას და რუსეთს მოსწყინდათ შევარდნაძე, რომელიც ხშირად ორმაგ თამაშს თამაშობდა თავის გადასარჩენად. ამ ორმა ზესახელმწიფომ ერთობლივად გადაწყვიტეს უნიათო შევარდნაძის ჩანაცვლება. ამ „ჭიდილში“ ამერიკამ იმარჯვა, მოძებნეს ქარიზმატული ავანტიურისტი მიხეილ სააკაშვილი და მოაწყვეს გადატრიალება. „ორივემ, ამერიკამაც და რუსეთმაც ერთდროულად მიღალატესო“, შევარდნაძეს ჩემთვის აქვს ნათქვამი. დღისით-მზისით ხულიგანთა ბრბო მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობით შევარდა პარლამენტში და გააქციეს შევარდნაძე, რომელიც მოხსენებას კითხულობდა. ეს იყო ავანტიურა, კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, რაიც დღემდე გამოუძიებელია. სხვათა შორის, ეს ყაჩაღური თავდასხმა სააკაშვილს ხახვივით შერჩა და ამიტომაცაა, რომ მიხეილის კუდებმა მერეც არაერთხელ მიმართეს ამ ძალადობას და დღესაც ეს აქვთ თავიანთ არსენალში.

ამის შემდეგ რაც მოხდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. 47 ბრალდება წაუყენა პროკურატურამ სააკაშვილს და მხოლოდ 3 დანაშაულისთვისაა გასამართლებული. „მიშიკომ“ დაამხო, ფეხით გათელა ქართული ეროვნული სახელმწიფო და გლობალიზაციის ჩანჩქერს შეუყენა: პირადობის საბუთებში ეროვნების და მამის სახელის წაშლა, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ყველა პატრიოტული ნაწარმოების ამოღება, ქართული ენის პალატის გაუქმება, ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისება, აფხაზეთის და სამაჩაბლოს მტრისთვის ჩაბარება, ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის და მეცნიერებათა აკადემიის ფაქტობრივი გაუქმება, მწერალთა კავშირისთვის ისტორიული შენობის წართმევა და იქ არსებული მემორიალური ნივთების ქუჩაში გამოყრა, უდანაშაულო ახალგაზრდების დახვრეტა, ციხეში პატიმართა სადისტური წამება, სახელმწიფო ბიუჯეტის უმოწყალოდ გაფლანგვა, ახალგაზრდების საზღვარგარეთ გადინებისთვის ხელშეწყობა... აი, მის მიერ ჩადენილი დანაშაულების მცირე ჩამონათვალი.

როცა ფსიქიურად გაუწონასწორებელი, ულმობელი მიხეილ სააკაშვილი ქართველმა ერმა ისტორიის სანაგვეზე მოისროლა, „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას.

მალე გაირკვა, რომ გიორგი მარგველაშვილს პირადი ამბიციების და განდიდების მანიის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა. მას არავითარი გონივრული სახელმწიფოებრივი გეგმა არ გააჩნდა. წარმოდგენა ხომ არ ჰქონდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, ქვეყნის სოციალურ ცხოვრებასაც ვერავითარი სიკეთე ვერ შემატა. განათლების და კულტურის საკითხების სრული სიბეცე გამოიჩინა. ყოველ შეხვედრაზე ვეუბნებოდი: ბიჭო, ვიცი, გლობალიზაციის წნეხის ქვეშ ხარ, მაგრამ ის მაინც გააკეთე, რაც შეგიძლია; ქართველებს სააკაშვილის მიერ წართმეული ეროვნება დაუბრუნე და მწერლებს თავიანთი სახლი ტრიბუნად და თავშესაფრად, ამასაც ხომ ამერიკის პრეზიდენტის ნებართვა არ ჭირდება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, თავი არაფერზე შეიწუხა. სააკაშვილის ნამუდრეგალი არცერთი წაღმა არ შემოაბრუნა.

თუ გახსოვთ, რა სასაცილო იყო მისი პრეზიდენტურ-ინდაურული ფაფხური. პრემიერი კი არა, მე ვარ პირველი კაციო, ამიტომაც ხშირად საერთაშორისო ფორუმებზე ორნი მიდიოდნენ და მასპინძლებმა არ იცოდნენ, პირველად ხელი ვისთვის ჩამოერთმიათ.

ყველანი გულწრფელად ვნანობთ, ვინც საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს მივეცით ხმა. მისმა იმიგრანტულმა ბიოგრაფიამ მოგვატყუა. მე ამიტომ ორიოდე სიტყვით დავახასიათებ. გაუნათლებელი ქალია. მსოფლიო პოლიტიკაში სრულიად გაურკვეველი და გაუცნობიერებელი.

თუ მარგველაშვილი „ტყემალზე იჯდა“, სალომეს დროს ხომ მაინც გარკვეულია, რომ საქართველო საპრეზიდენტო კი არა, საპარლამენტო რესპუბლიკაა.

რას დაქანაობს ზევით-ქვევით ოჩანი ცხოველივით, ეუბნებიან არ გენდობით, ჩვენი ხმა აღარ ხარო და მაინც „უცილობლობს, ვითა ჯორი“.

ახლა, როცა ქვეყანას ხელისუფალთა ერთად ყოფნა, ერთ მუშტად შეკვრა სჭირდება, სალომე სწორედ ახლა იქცა „განხეთქილების ვაშლად“ მაღალი ეშელონებისათვის.

- ბატონო რევაზ!

მე ედუარდ შევარდნაძეს დიდი ხანია ვეძახი ფონდირებულ პრეზიდენტს და რატომ?

კომუნისტურ ხანაში ყველაფერი გათვლილი იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ. ამ საკითხს შესანიშნავად უძღვებოდა ძლიერი ეკონომისტი კოსიგინი. მოსკოვი გეგმავდა ყველაფერს. რამდენი თავლა უნდა ეშენებინა, რამდენი სკოლა და ა. შ. და ამისათვის რამდენი ცალი ლურსმანი თუ ჩაქუჩი იყო საჭირო. ყველაფერს წყვეტდა მოსკოვი და საქართველომ იცოდა საიდან, სსრკ-ს რომელი კუთხიდან უნდა მიეღო ესა თუ ის მასალა. ამას უწოდებდნენ ფონდირებულს. მზამზარეული ჩამოდიოდა ყველაფერი. ამიტომ ვეძახდი ცკ-ს პირველ მდივანს ე. შევარდნაძ-

ეს ფონდირებულს. მოსკოვი წყვეტდა კადრების საკითხსაც, ვინც დანიშნული იქნებოდა მაღალ თანამდებობებზე.

როგორც კი პრეზიდენტად მოგვევლინა, ეგრევე გამოჩნდა მისი უუნაროობა, რადგან მზა რეცეპტებს მას არავინ უგზავნიდა. მან ვერ გადალახა ბარიერი მხარში ამოდგომოდა ქართველ ხალხს და ეღვაწა სამშობლოსათვის.

იგი მთლიანად მოსკოვზე იყო დამოკიდებული და ასრულებდა მათ დავალებებს, როგორც პოლიტიკოსი იგი ბევრად ძლიერი იყო და შეეძლო ბევრად უკეთესი პოლიტიკა გაეტარებინა თავისი სამშობლოს სასარგებლოდ. მაგრამ მან ეს არ გააკეთა. პირიქით დააასუსტა ქვეყანა და კორუფციის წუმპეში მოაქცია. გვახსოვს ყველას მედიიდან: „გაფუჭდა მე-8 ბლოკი“, „გაფუჭდა მე-9 ბლოკი“, „ამას სჭირდება 20 მილიონი“, „ამას ათიო“ და ა. შ.

სიბნელეში ამყოფა ქვეყანა. სრული ქაოსი და უიმედობა დათესა. პარალელურად ზრუნავდა ნათესავებისა და თავისი გარემოცვის გამდიდრებაზე.

გააღმერთა ისინი.

ეს კი დავალებად მოსკოვიდან ჰქონდა.

ბატონო რევაზ!

მაინტერესებს თქვენი აზრი.

„ედუარდ ფონდირებული“ მიესადაგება თუ არა მის სახელს. სსრკ-ს დროს ეკონომიკის ფონდირებულ ცკ-ს მდივანს სსრკ-ს დაშლის შემდეგ კი პოლიტიკის ფონდირებულ პრეზიდენტს.

– თქვენს ამ საინტერესო კითხვაში პასუხიც კარგად ჩანს, ამიტომ ბევრს ველარაფერს დავამატებ, გარდა იმისა, რომ საერთოდ ვეთანხმები.

საზოგადოება ორ შევარდნაძეს იცნობს: ერთი იყო მართლაც ფონდირებული, მოსკოვიდან მართული, მრისხანე ცკ-ს მდივანი, რომელმაც თავისივე მეგობარი დაახვრეტინა და უნებლიე დამნაშავენი – „თვითმფრინავის გამტაცებლები“ სასიკვდილოდ გაწირა. მეორე შევარდნაძე იყო უკვე მონათლული (გიორგი) და თითქოსდა ახალი საქართველოს მშენებელი. სინამდვილეში კი ფაქტიურად შევარდნაძის მეტამორფოზა ეროვნულ კაცად არ მოხერხდა. ამ მხრივ იგი ტრაგიკული პიროვნებაა.

ისე, პირად ურთიერთობაში სასიამოვნო, თბილი კაცი იყო. გაპრეზიდენტების შემდეგ ოთხჯერ მოვიდა მწერალთა კავშირში და ჩვენთან საუბარს ასე იწყებდა: მე ჩემს მასწავლებლებთან მოვედიო. ეს მაშინ, როცა ზემოთხსენებული 6 პრეზიდენტიდან შევარდნაძის გარდა არცერთი არ მოსულა ჩვენთან რჩევის საკითხავად. სააკაშვილი კი აშკარად მწერალთმოძულე იყო.

გარდა ამისა, ბატონ ედუარდს იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა, რითაც იგი იდეურ მოწინააღმდეგეებთანაც კი ურთიერთობის დათბობას აღწევდა. რეიგანთან პირველი შეკითხვის დროს ამერიკის პრეზიდენტს ჰკითხა: თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდებაო? იცნობთო? გაოცებულმა რეიგანმა კითხვა შეუბრუნა. არა, მე უბრალოდ ისეთი ქვეყნიდან ვარ, სადაც ადამიანები პირველ რიგში ერთმანეთს ოჯახებით მოიკითხავენო.

მახსოვს, ყაზბეგის იუბილეზე სტეფანწმინდაში ვიყავით, უკან დაბრუნებისას ფასანაურში გაგვაჩერა. თუ ძალიან არ გეჩქარებათ, ნუ მეტყვით უარს და ერთად ვივახშმოთო. სად გვეჩქარებოდა. ვახშამი დილის 5 საათამდე გაგრძელდა. ეს იყო იუმორის, სიმღერის, მართლა ქეიფის ფეიერვერკი. სხვათა შორის კახური იუმორის ერთი ნიმუშიც მოვყევი. საბავშვო ბალის მასწავლებელს კახელი მიმართავს: ჩემი ბალღი გამაიყვა! – რომელია შენი ბალღი! – კაცო, რომელიმე გამაიყვა, ხვალ ისევ აქ უნდა მავიყვანო?!“ სიცილი ძალიან უხდებოდა. თავის მხრივ ავლიპი ზურაბაშვილის ხუმრობა თქვა: გიჟს ბოლომდე ვერ მოვარჩენ, მაგრამ გურულის დონემდე ავიყვანო. ამაზეც ბევრი იცინა.

ბატონო რევაზ!

შეიძლებოდა თუ არა სწორი პოლიტიკის შედეგად აფხაზებთან სიტუაციის ალაგება და ომის თავიდან აცილება?

უმძიმეს წლებად მოიხსენიებთ მემუარებში ამ წლებს. მე როგორც რიგითი ქართველი ვთვლი, რომ ეს ოცი წელი საერთოდ არ მიცხოვრია და ეს უგუნური პოლიტიკის შედეგი იყო. ერთხელ ასეთი კითხვაც დამებადა თავში, 70-ისა ვარ თუ 60-ის? სსრკ-ს დაშლიდან ახალი საუკუნის შემოსვლამდე ხომ მე არ მიცხოვრია. თქვენ ძალიან კარგად იცით, რამოდენა მთა გადმოჰყურებს სოფელ თარგამეულს მარცხენა მხრიდან, ანუ ე. წ. თარგამეულის ქედი. ქედზე გადასასვლელი ბილიკებით მარტვილის ცენტრამდე 11 კმ-ია მანძილი და თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვები რომ არ დახოცილიყვნენ შიმშილით, სისტემატურად მიხდებოდა ამ მანძილის გავლა იქით და აქეთ, ხშირად ღამითაც. და ეს რისთვის? 3 თუ 4 ცალი პურისათვის. ხშირად ხელცარიელიც წამოვსულვარ. განა ეს ცხოვრება იყო, ბატონო რევაზ? წარმოიდგინეთ ჩემსავით რამდენი გადადიოდა ამ ქედზე.

განა ცხოვრებად ითვლება ტელევიზორი კორფუჯი, 12 ვოლტზე მომუშავეს რომ ვერ ჩართავდი? კვირაში ორჯერ შვილებს ხელის ურიკით მიჰქონდათ აკუმულატორი თარგამეულის ბოლოს მიშველაძეების ხელნაკეთ ელექტროსადგურზე დასატენად. მოიტანდნენ სახლში სანახევროდ დატენილ აკუმულატორს და მეხვეწებოდნენ სერიალს მაყურებინეთო, მამა. მე კი ინფორმაციას ვერ ვუყურებდი. მარიო ჩიმარო გადიოდა მაშინ. განა ეს იყო ცხოვრება? ეს ღორობა იყო, ბატონო რევაზ.

თქვენ თქვენს მემუარებში წერთ, რომ ცკ-ში დაგიბარათ ედუარდმა 1989 წელს და მან ხაზგასმით აღიარა, რომ უბედური საქართველოსათვის სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებდა.

იბადება კითხვა, თუ ვერ გააკეთებდა (ან არ გააკეთა) მაშინ რატომ დაბრუნდა პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას შემდეგ?

შევაფასოთ ეს ფაქტი. მოსკოვის გეგმას ასრულებდა ფონდირებული პრეზიდენტი?

შეეძლო კი?

ან რატომ არ შეეძლო? მას ხომ მთელი დასავლეთი და ამერიკა იცნობდა.

მას ხომ შეეძლო თავიდან აეცილებინა აფხაზეთის ტრაგედია? რატომ არ გააკეთა ეს? ელცინი ხომ მასზე ზევით არ იდგა ჭკუითა და გონებით?

აფხაზეთი ხომ ჩვენი ყველას გულის ტკივილია. ედუარდი უნდა გადაფარებოდა მას და არ უნდა დაეთმო რუსებისათვის.

რატომ არ გადაეფარა, ბატონო რევაზ?

თქვენთვის ხომ ორმაგი ტკივილია აფხაზეთის დაკარგვა. აფხაზეთის დაკარგვაც ხომ მწარედ განიცადეთ და მითუმეტეს მის დაცვას შეეწირა თქვენი საყვარელი აჩიკო, რომელსაც უფლება ჰქონდა ეცხოვრა ამ ტანჯულ საქართველოში. ასეთმა უგუნურმა პოლიტიკამ თქვენ ორივე ფრთა მოგტეხათ. ჭეშმარიტი ქართველი ასე განსჯის ამას.

თქვენი სახელობის ბიბლიოთეკაში მე პირადად აჩიკოსათვის პატარა კუთხე მოვაწყე, იგი ხომ გმირია. ყვავილები მოაქვთ ბავშვებს მისთვის, ცოცხალი ყვავილები. ბატონო რევაზ! თქვენი სტუმრობის დღე 22 ოქტომბერს თქვენ დაათვალიერეთ თქვენი სახელობის ბიბლიოთეკა და აჩიკოს კუთხესთან შეჩერდით. მე ცრემლის ნაპეწკალი დავინახე თქვენს თვალებში. მძიმე იყო ეს მომენტი. იქვე წაიკითხეთ აჩიკოს პირობითად ნაწერიც..

პუტინ! თქვენს კისერზეა ჩემი სიკვდილი, ღმერთი მოგკითხავს ამაზეო

რამოდენიმე დღის მერე ვუფიქრდები ამ გამონათქვამს და მებადება კითხვა. ამ საცოდაობაში უგუნური ქართველთა ხელიც ხომ არ ურევია-მეთქი.

გთხვთ დაიმშვიდოთ ნერვები და თქვენებურად, ღირსეულად გამცეთ პასუხი.

შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთში ძმათა მკვლელი ომის თავიდან აცილება?

და რა იყო ამისათვის საჭირო?

შეეძლო თუ არა ქართველ ფონდირებულ პრეზიდენტს მოეძებნა გასაღები, რომელიც მოერგებოდა ამ უგუნურ პოლიტიკას?

ბევრი კითხვის ნიშანი დაისვა და გთხოვთ მოკლედ უპასუხოთ ამ კითხვებს.

– აფხაზეთის და სამაჩაბლოს წართმევა რუსეთის დამსჯელობითი ღონისძიება იყო, შევარდნაძისთვის ჭკუის სასწავლებლად. რაკი ბოლო დროს შევარდნაძე აშკარად იხრებოდა დასავლეთისაკენ, რუსეთმა იგი გაწირა.

შეიძლებოდა თუ არა ე.წ. „აფხაზეთის ომის“ თავიდან აცილება? რა თქმა უნდა შეიძლებოდა. თქვენ ამბობთ, „აფხაზეთთან სიტუაციის დალაგებაო...“ არავითარი აფხაზეთის ომი, ბატონო ბურდა, არ არსებობდა. ეს გახლდათ რუსეთ-საქართველოს ომი და უბადრუკ აფსუებს არავინ არაფერს ეკითხებოდა, ისევე როგორც ახლა.

შევარდნაძე ბევრჯერ მოატყუეს, ხოლო საბედისწერო მოტყუება ის იყო, რომ ენდო ამერიკას. იფიქრა, ამერიკის შიშით რუსეთი ვერაფერს გამიბედავსო. რომ შეებრუნებინა ფეხი რუსეთისაკენ არაფერიც არ მოხდებოდა. შევარდნაძეს აკლდა ის, რაც ქართველ მეფეთა უმეტესობას ჰქონდა: პოლიტიკური ალღო, ლავირების უნარი. საქართველო ხან ირანს „დაუმეგობრდებოდა“, ხან ოსმალეთს უპაჭუნებდა თვალს. პოლიტიკასა და დიპლომატიაშიმთავარია მომენტის შერჩევა. ეს მომენტი შევარდნაძეს გამოეპარა. თავის მხრივ ვერაგმა ამერიკამ მოატყუა შევარდნაძე, თავისი მფარველი სამხედრო კალთა არ გადააფარა. არც ახლა ცდილობს დასავლეთი საქართველოს დაუბრუნოს წართმეული ტერიტორიები. ცარიელი ლაილაი საქმეს ვერ შველის.

ბატონო რევაზ! მემუარებში ბევრგან ეხმიანებით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების საკითხს. რადიკალურად მოითხოვთ მათ გაუქმებას. ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურიოლქისაც. ახსენებთ ნოე ჟორდანიასაც. მოგყავთ პროფესორი გივი ჟორდანიას ნათქვამი: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიები ნოე ჟორდანიას შექმნილიაო 1919 წელს.

რას იტყოდით დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტზე? მოკლედ დაგვიხასიათეთ იმდროინდელი შიდა და გარე პოლიტიკა.

ბატონო რევაზ, ხომ არ გაგივლიათ პარალელი იმდროინდელ საქართველოს და ამჟამინდელ საქართველოს შორის? ძაან ბლომად ხომ არ ჰყავდა ამ პატარა ქვეყანას ქვეყნის აღმშენებლები და დამაქცევლები? ავიღოთ მაშინდელი კონაკონა ბოლშევიკები და მენშევიკები: ორჯონიკიძე, მახარაძე, ცხაკაია, გეგეჭკორი, წულუკიძე და სხვები.

ავიღოთ ახლანდელი კონაკონა პოლიტიკოსები: ბურჯანაძე, ჟვანია, სუბარი, ვაშაძე, მელია, და ათასი სხვა. ხომ არ გიფიქრიათ, ბატონო რევაზ, იმაზე, რომ ძირფესვიანად შესაცვლელია ქვეყნის ძირითადი კანონი ანუ კონსტიტუცია?

იქნება დადგა დრო ბოლო მოეღოს ამ ვაკხანალიას?

იმდენად გაიშალა პარტიათა რაოდენობა, რომ მის შექმნას ბოლო არა აქვს ბაქოს მატარებელივით და იქმნება ისინი რისთვის?

იმისთვის, რომ ხალხმა ფული იშოვოს, ერთიანდებიან მასში ახალგამომცხვარი პოლიტიკოსები, რომლებმაც ეს-ესაა იყნოსეს, რომ იქ ფულს იშოვნიან და თოხები გააგდეს ხელიდან.

რა უბედურებაა ეს, ბატონო რევაზ?

რა გვჭირს?

პოლიტიკომანია?

თუ?

ვერ მომიძებნია სახელი.

ცხონებულ ვაჟა აბაკელიას აქვს ჩემთვის ნათქვამი: პარლამენტში იურისტები უნდა ისხდნენ და არა კაცობის მაძიებლებიო.

ბევრჯერ დავბრუნებულვარ მის ნათქვამს და ვფიქრობ, რომ მართალი იყო ეგ კაცი. ის ხომ ჭკვიანი იურისტი იყო.

ახლა ერთ მაგალითსაც მოვიყვან, ბატონო რევაზ.

სოფელ თამაკონში თქვენს მშობლიურ თემში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 30 წელი მუშაობდა მარლენ აბაკელია. იგი ძლიერი ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ყოველთვის უჭირდაბრიგადირებისა და მერგოლურების არჩევა. ასევე იყო სხვა სოფლებშიც.

ახლა კი რა ხდება?

თურმე იმდენი გვყოლია ხელმძღვანელად ვარგისები და საქმის მაკეთებლები, რომ მტრისას. ყველა ცდილობს გაერთიანდნენ პარტიებში, რომელიც ასარჩევად გვყავს და ჯიბეში ხელებ-

ჩაყოფილები და თავაწეულები თავს აწონებენ გარშემო მყოფს. ამიტომაა, რომ ეს არაფრისმაკეთებლები ანუ განათლებულები არჩევნების დროს ტვინს ურევენ მოსახლეობას, რომელთაცჰგონიათ, კაცთან ანუ პატრიოტთან აქვთ საქმე დაჭერილი. არ გაგიკვირდეთ, ბატონო რევაზ, თურმე ასზე მეტი ასეთი ბეჯითი ხელმძღვანელად ვარგისი პიროვნება გვყოლია თემში.

ამას კი რა ჯობია. მე ბოდიშს მოვიხდი სოფლის ინტელიგენციასთან, რომლებიც კარგად უძღვებიან თავიანთ საქმეს. აქ კი ლაპარაკია ჯანღონით სავსე ახალგაზრდობაზე, რომელთა ნაწილიც მართლა სანიმუშოა.

ცხონებული მარლენი ხომ აცრემლდებოდა, რომ ენახა ეს მდგომარეობა. ეს ის ხალხია, რომლებსაც არასოდეს არ უსწავლიათ, არც ეკონომიკა ესმით, არც პოლიტიკა. აი, სადაა ძაღლის თავი ჩამარხული. მაინტერესებს, თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ, ბატონო რევაზ, ესაა დემოკრატია?

ხომ არ დადგა დრო, ბოლო მოეღოს ამ უმსგავსობას?

ხომ არ დადგა დრო საქართველოს კონსტიტუცია ისევ შედგეს, რომ მოერგოს ქვეყანას?

ხომ არ დადგა დრო იგი შეადგინოს პროფესიონალებმა?

ხომ არ დადგა დრო, შეიქმნას ვეტერან გამოცდილ ადამიანთა კრებული, რომელთაც მიეცემა უფლება, ჩაერთონ ქვეყნის ძირითადი კანონის შექმნაში?

ხომ არ დადგა დრო, ამდენი პარტიები მინიმუმამდე დავიყვანოთ და ქმედით უნარიანი გავხადოთ?

პარტიათა სიმრავლემ და თავაშვებულობამ ხომ მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე. უამრავი ფაქტია განხეთქილებებისა ოჯახებშიც კი, მეზობლებშიც, მეგობრებშიც, სანათესაოშიც. რად გვინდა ეგ ღმერთის ბოძებული საქართველო თუ დავჭამეთ ერთმანეთი.

გთხოვთ, გულწრფელად გამოხატოთ თქვენი აზრი ამ საკითხზე, როგორც გჩვევიათ და გიკეთებიათ კიდეც.

ამერიკაში სულ 5 პარტიაა და პაწაწკინტელა საქართველოში 257. ქართული ანდაზის მიხედვით ორი გამდელის ხელში ყმაწვილი იჩაგრება და 257 გამზრდელის ხელში რა მოუვა. ჩვენი პოლიტიკის ხომალდის „სვლა“ კრილოვის ერთ იგავს მაგონებს, ტვირთს სამივენი რომ სხვადასხვა მხარეს ეწევიან.

„უჩემოდ ვინ იმღერეთას“ სენმა კინაღამ დაღუპვა საქართველო რამდენჯერმე და ახლაც ეს სენი გვჭირს.

ო, როგორ სძულთ ერთმანეთი პოზიციას და ოპოზიციას. სიამოვნებით დალევდნენ ივანიშვილის და ღარიბაშვილის სისხლს სამადაშვილი და ხაბეიშვილი.

რა თქმა უნდა, სიგიჟეა ამდენი პარტიის არსებობა. მითუმეტეს მაშინ, როცა ზოგი პარტია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

შესაცვლელია კანონი პარტიათა დაფინანსების შესახებ.

ვინ დააკანონა, რომ სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს ამდენ არაფრისმომქმედ პარტიას?

რაც უფრო მეტს ვწერთ მწერლები შერიგების, ერთ მუშტად შეკრის შესახებ, მით უფრო შორდებიან და კბილებს უკრაჭუნებენ ერთმანეთს.

ეს მხოლოდ და მხოლოდ სკამებისთვის ბრძოლაა და სხვა არაფერი.

თოხი და ბარი არავის უნდა, ეადვილებათ პარლამენტში წამოპლაკვა და სისულელეების ღაღადი.

თქვენ მართალი ხართ:

„რად გვინდა ეს ღმერთის ბოძებული საქართველო თუ დავჭამეთ ერთმანეთი“.

რაც შეეხება პარლამენტში მხოლოდ იურისტების ყოფნას, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, პოლიტიკურად უვიცი, ორ ბატს რომ ვერ ჩააბარებ ისეთი იურისტიც ბევრი მინახავს და საერთაშორისო ვითარებაში ღრმად გარკვეული დიპლომატიის დიდებულად მცოდნე მწერალი ხელოვანიც.

- ხშირად მესმის საზოგადოებაში: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დიპლომატია არ უვარგოდაო.

ზვიადი იყო ქვეყნის პატრიოტი ადამიანი. მან სიყვარული დათესა ხალხში.

მაინტერესებს, რას იტყოდით ზვიადის კარგზე და შეცდომებზე?

- საქართველოს პრეზიდენტთა შორის ეროვნული მოღვაწე მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო.

ჩვენ თანაკურსელები ვიყავით. ახალგაზრდა მწერალთა წრეზე ერთად დავდიოდით და როცა ლიტერატურული საღამოების ჩასატარებლად თბილისის გარეთ გვიწევდა ყოფნა (მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში) ერთ ოთახში გვეძინა. უაღრესად ერუდირებული ღრმად განათლებული გახლდათ. მშობლიურის გარდა რუსული და ინგლისური ბრწყინვალედ იცოდა, გერმანულსაც ფლობდა, ბრწყინვალე ორატორი იყო. შესანიშნავად თარგმნიდა, მაგრამ თარგმანების გამო ხშირად აკრიტიკებდნენ, რადგანაც ენაში ძველი ქართულის კონსტრუქციები შემოჰქონდა.

რა ნაკლზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ის გაუკვალავ გზაზე მიდიოდა. წინამორბედი არ ჰყოლია, მას ხომ არ დააცადეს, ფაქტიურად წელიწადნახევარი იყო პრეზიდენტი. უმძიმეს დღეში ჩააგდეს კადრების მხრივ, თუ ვინმესთვის ხელი ჩამოურთმევია, ყველამ მინისტრობა მოინდომა. ერთხელ დამირეკა, თუ კაცი ხარ, ახალგორის პრეფექტად იქნებ ვინმე შემირჩიოო. მივუყვანე უნივერსიტეტის დოცენტი აკაკი მათიაშვილი, მაშინვე დანიშნა.

მე ძალიან ვუყვარდი და ძალიან მენდობოდა. მოსკოვში მწერალთა პირველ დელეგაციის (წევრები: შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, იგორ ბოგომოლოვი, გურამ გვერდწითელი, მზია ხეთაგური, გოგი გაჩეჩილაძე) ხელმძღვანელად მე დამნიშნა.

თუ დიპლომატიაზე ვილაპარაკებთ, ალბათ ის უნდა ვთქვათ, რომ ერთდროულად დაუპირისპირდა რუსეთსაც და ამერიკასაც, მაგრამ მას სხვანაირად არ შეეძლო. ის ხომ საქართველოსთვის შეწირული კაცი იყო.

- კარგად მახსოვს ზურა ჟვანიას მოღვაწეობა. ჟვანიას „პოლკოვნიკები“.

არჩევნების გაყალბების მისეული მეთოდები. მისი ბოსტანი, სადაც „პოლკოვნიკების“ ჩითილები გამოყავდა.

თქვენ რას მეტყოდით ამაზე? ზურაბის პიროვნებაზე.

გამოიყენა თუ არა ის ე. შევარდნაძემ ჯუმბერ პატიაშვილთან არჩევნების გაყალბებაში. მისი როლი ამ საქმეში? ხომ არ იმოქმედა ამან ქვეყნის განვითარებაზე?

რას გვეტყოდით ჯუმბერ პატიაშვილის პიროვნებაზე?

შეეძლო თუ არა მას შეეცვალა ქვეყნის ისტორიის ჩარხის ბრუნვა?

ჯუმბერ პატიაშვილიც ხომ არ გახდებოდა ფონდირებული პრეზიდენტი? რუსის მონა?

- ჟვანიას საქმიანობა ჩემს თვალწინ ჩატარდა, მაშინ მე პარლამენტის წევრი ვიყავი, ოღონდ ოპოზიციიდან. იგი ტიპიური გლობალისტი იყო, დასავლეთის მითითებების შემსრულებელი და ეროვნული ფენომენის უარმყოფელი, საბუთებიდან ქართველის ამოღების მომხრე. ერთხელ ვუთხარი, თუ ეროვნულობის გრაფას არ აღვადგენთ, სამივეს - შენ, ბურჯანაძეს და სააკაშვილს საქართველოს მტრად გამოგაცხადებთ-მეთქი. რა ჩვენი ბრალიაო, ამ საკითხს შევარდნაძე აჩერებსო.

აბა, თუ ასეა, წავიდეთ ახლავე შევარდნაძესთან-მეთქი.

რა საჩქაროა, ენა დაება სააკაშვილს.

დავრეკე ჟვანიას კაბინეტიდან. შევარდნაძემ ყურმილი მაშინვე აიღო. ბატონო ედუარდ, თქვენთან მოსვლა გვინდა-მეთქი, ჩამოვუთვალე გვარები. მობრძანდითო.

მივედით ოთხივენი.

შევარდნაძემ ხელის ჩამორთმევისთანავე დაიწყო!

- კაცო, - მიმართა სააკაშვილს, ჟვანიას და ბურჯანაძეს, - რატომ მამდურებთ შარაძეს და მიშველაძეს, მე ვაჩერებ ეროვნების საკითხს? რა გინდათ ჩემგან?!

მერე მე მომიბრუნდა:

- რეზო, ამიხსენი ერთი რა ხდება. სხვა ქვეყნებში როგორაა ამ მხრივ საქმე.

- ზოგი ქვეყანა ძველი სისტემის ერთგულია, ყველა მოქალაქეს თავის ეროვნებას უწერენ, ზოგან კი ძირითადი ანუ ავტონომიური ერის ეროვნებაა მითითებული-მეთქი.

- მაგალითად? - შევარდნაძემ მკითხა.

- მაგალითად, საფრანგეთში ყველა მოქალაქეს „ფრანგი“ უწერია-მეთქი პასპორტში. თქვენ რომელს ემხრობით, ბატონო ედუარდ-მეთქი?

- მე ძველი კაცი ვარ და ძველ სისტემას ვემხრობი. ყველას თავისი ეროვნება ჩავუწეროთო, შევარდნაძემ.

გამოვედით შევარდნაძის კაბინეტიდან.

მე გამარჯვებულის იერით, იმათ დანა პირს არ უხსნიდა.

ამაოდ ველოდი საქმის დაბოლოებას.

არ შეასრულა „სამეულმა“ შევარდნაძის მითითება.

თურმე მაშინ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ შევარდნაძის დამხობა.

რაც შეეხება ჯუმბერ პატიაშვილს, მან ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

მარტო ის რად ღირს, რომ საკათალიკოსო გააძლიერა და ქართულ ეკლესიას მიწების გადაცემით ძლიერი ეკონომიური საყრდენები შეუქმნა.

იგი თხემით ტერფამდე ქართველი პატრიოტი იყო და მახსოვს, მუხლჩაუხრელად რომ იბრძოდა მკვდარი ქართული სოფლების გასაცოცხლებლად, მაგალითად, უდაბნო. აგრეთვე მიწისძვრით დაზარალებული სვანების მარნეულში ჩამოსასახლებლად.

მისი უანგარო მუშაობა და მაღალი ავტორიტეტი ვერ შეარყია იმ საშინელმა პროვოკაციამ, რაც კრემლმა მოუწყო ცხრა აპრილის ხოცვა-ჟლეტის სახით.

- მემუარებში თქვენ თვითონ სვამთ კითხვას: არის საერთოდ ქართველი კაცი მებრძოლი?

იქნებ უფრო ვცლად მოგვიყვეთ ამ კითხვის გარშემო.

მე შემიძლია მოგიყვანოთ ერთი მაგალითი ამ თემაზე, როდესაც რუსეთმა 2008 წელს მოახდინა ფოთისა და სენაკის ოკუპაცია, სენაკის გარნიზონიდან ქართული ჯარი გაიქცა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დაიმალნენ ახლომდებარე სოფლებში და ტყეებში, მათი ერთი ასეული ჩვენს მშობლიურ სოფელშიც გაიხიზნა.

გამოდის, რომ რუსებს რომ გზა გაეგრძელებინათ, ასევე ჩაბარდებოდა ქუთაისიც, სამტრედიაც, ბათუმიც და ა. შ.

თქვენი აზრით ვისი ბრძანებით მოხდა ეს ფაქტი?

თუ შიშმა იმოქმედა?

ისტორიას ახსოვს მტრის ბევრი შემოსევა, მაგრამ უბრძოლველად გაპარვა და დამალვა ნაკლებად მსმენია.

გთხოვთ უპასუხოთ თქვენივე დასმულ კითხვას.

- ჩემი გული ვერ იჯერებს ეჭვს თანამედროვე ქართველის ნაკლებ ბრძოლისუნარიანობის შესახებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ანწუხელიძის და ძმათა მისთა თავდადების ფაქტებს რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები, რომ ვცდები, თუმცა ხანდახან ვფიქრობ, 250 წლიანმა „მშვიდობამ“ ხომ არ დააჟანგა ქარქაშში მამა-პაპური ხმალი. თქვენს მიერ მოტანილი სამდღიანი ომის სამარცხვინო დასასრულის მაგალითიც ამას მოწმობს. სად გაექცევა ისტორია მეთერთმეტე არმიის შემოსვლის დროს თბილისელები ფარდის ღრიჭოებიდან შიშით რომ შესქეროდნენ ოკუპანტ არმიას, დავივიწყოთ ტაბახმელაში უპატრონოდ მიტოვებულ იუნკერთა მისახმარებლად ხელი რომ არავინ გამოიღო, დავივიწყოთ ცხინვალში 50 ახალგაზრდა პოლიციელი, ნუ დაგვხოცავთო და უყოყმანოდ მუხელზე რომ დაეცა? დავივიწყოთ მტრის ვერტმფრენის გუგუნის გაგონებაზე სამარცხვინოდ ასფალზე მხოხავი მიხეილ სააკაშვილი?

აი, რატომ არის საჭირო, რომ საქართველოში გავაძლიეროთ სამხედრო პატრიოტული აღზრდა.

- მოუხადა თუ არა ვინმემ ბოდიში ქართულ მწერლობას და უნივერსიტეტის განთავისუფლებულ პროფესურას?

ან თუნდაც სინანული თუ გამოთქვა ვინმემ?

რა იყო ეს?

თავის გამოჩენა თუ შურისძიება?

და რის გამო?

თქვენი აზრი, ბატონო რევაზ.

- სააკაშვილმა ერთი ბრძანებით ერთბაშად დაითხოვა უნივერსიტეტიდან 2447 ეროვნულად მოაზროვნე ყველა თანამშრომელი. სახელოვანი პროფესორები ქუჩაში დარჩნენ სრულიად უსახსროდ და უპატრონოდ.

მერე კარგა ხანს ერთმანეთს ცვლიდნენ ნაცრექტორები, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია თავში მეცნიერი მამებისთვის უკან დაბრუნება ან ბოდიშის მოხდა.

სამწუხაროდ, დღესაც ასეა.

სააკაშვილმა უნივერსიტეტზე შური იძია, რადგანაც ქართულ წერაში სამიანი მიიღო და იურიდიულზე ქულები არ იყო. ამ ქულებით კიევში ჩარიცხეს საერთაშორისო იურიდიულზე, საიდანაც მოსკოვის კაგებეს დაუკავშირდა და სამხრეები მოირგო.

სააკაშვილის შურისძიების მსხვერპლი პროფესორების 90% დღეს ცოცხალი აღარ არის.

არ არის ეს დანაშაული? რატომ ამაზე არ მოთხოვეს პასუხი ჭკუანაღრძობ პრეზიდენტს?

- ყველასათვის ნათელია, რომ ყველა სახელმწიფოს ჰყავს საზღვარგარეთ ძლიერი დიასპორა. ჩვენც გვყავს ბევრ ქვეყანაში ძლიერი ქართველობა, ჭკვიანი და განათლებული დიასპორა კი ძლიერი ძალაა, მათ ბევრი რამ სასარგებლოს გაკეთება შეუძლიათ ქვეყნისათვის, თავისი სამშობლოსათვის.

ბუნებრივია თქვენ ასეთ ხალხს ბევრს იცნობთ და მეგობრობთ მათთან.

მეც რიგით ქართველს მყავს რამოდენიმე, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებს. მათგან მხოლოდ ერთს დავასახელებ საკითხის გავრცობისათვის და სინათლის შემოტანისათვის.

შვედეთში არეულობის წლებში თავის მეუღლესთან და სამ ვაჟთან ერთად ემიგრაციაში ჩარჩა ქუთაისელი გოგონა ლელა კუხიანიძე.

ლელამ, რომელიც მოძრავი და ბეჯითი გოგონაა, განსაკუთრებულ შედეგს მიაღწია, შვედეთში დააარსა ქართულენოვანი სკოლა. მიიზიდა ემიგრანტი პედაგოგები და სრულიად უსასყიდლოდ ქართულს ასწავლის სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა ბავშვებს, ასევე ჩამოაყალიბა ანსამბლი „ნერგები“, სადაც ასწავლის მუსიკას და ცეკვას (თვითონაც ქალბატონი ლელა მუსიკოსია).

მისმა შემართებამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და სიყვარული.

ლელა დღე და ღამეს ასწორებს, რომ უფრო გააფართოვოს მუშაობა, მისწვდეს ქვეყანაში მყოფ თითოეულ ემიგრანტს და აკეთებს სასარგებლო საქმეს, იგი იბრძვის ქართული გენის შენარჩუნებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის იმ შორეულ ქვეყანაში.

მე ქედს ვიხრი ქალბატონი ლელას წინაშე. დაუფასებელია მისი ღვაწლი. ასეთი ადამიანები სხვაგანაც ბევრი გვეყოლება.

ბატონო რევაზ!

თქვენ, როგორც ყოფილ პარლამენტარს მინდა გკითხოთ:

არის თუ არა ქვეყნის ბიუჯეტში გამოყოფილი სახსრები დიასპორასთან მუშაობის მიმართულებით?

არსებობს თუ არა სახელმწიფო ნება და პოლიტიკა ამ მიმართულებით?

აღირიცხება თუ არა ემიგრაციაში მყოფი ქართველები, რომლებიც ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ?

გაგვაჩნია თუ არა დიასპორასთან მუშაობის ცენტრი?

თუ არ არის ეს ცენტრი, მთავრობამ უნდა მიხედოს ამ საკითხს.

რას გვეტყვით, ბატონო რევაზ?

გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება.

- მეც გამიგია ქალბატონი ლელა კუხიანიძის სასარგებლო ეროვნული საქმიანობის შესახებ და მიხარია რომ თქვენი ნაცნობი ყოფილა.

რაც შეეხება „ახალ ემიგრაციას“ საერთოდ, გულახდილად რომ გითხრათ, არ ვიქნები გულწრფელი, რომ გითხრათ, საქართველოს გარეთ ქართველების ყოფნას მივესალმები-მეთქი.

სააკაშვილის ბნელი საქმეების გადამკიდე ქართველების შიმშილისაგან გაქცევის მიზეზი მე კარგად ვიცი, მაგრამ ახლა სხვა დროა, დღევანდელმა ხელისუფლებამ მშვიდობასაც მიაღწია და ცხოვრების დონის საგრძნობლად ამაღლებასაც.

მართალია, ქონი არც ახლა გადაგვდის კისერზე, მაგრამ ვურჩევ ყველა ემიგრანტს, დაბრუნდით თქვენს მიწაზე. ხომ ხედავთ, თქვენს მიტოვებულ ეზო-კარს რუსი ეპატრონება.

ჩვენ ჩვენი ეთნოსის, ჩვენი რჯულის და სისხლ-ხორცის, ჩვენი ტომის წარმომადგენლები გვჭირდება. უცხოელი ვერ მოუვლის „ვეფხისტყაოსანს“ და „ვარძიას“.

ამიტომ ჩამოდით და ერთად ვიბრძოლოთ უკეთესი საქართველოსთვის.

დიასპორისთვის ბიუჯეტში გამოყოფილი კაპიკები, რასაკვირველია, ზღვაში წვეთია.

- გალაკტიონ ტაბიძეს თქვენ მეოცე საუკუნის პოეზიის ზევსი უწოდეთ.

მე პირადად დიდ პატივს ვცემ მის შემოქმედებას. ასევე ყოველთვის პატივისცემით მოვიხსენიებ გალაკტიონის მეუღლეს ოლღა ოკუჯავას.

მე მეამაყება, ბატონო რევაზ, რომ ქალბატონი ოლღა უკუჩავას ოდაბადე სოფელი თამაკონია. დიახ, სოფელი თამაკონი.

მოკლედ ხომ არ გვეტყოდით ბატონი გალაკტიონისა და ქალბატონი ოლოლის სიყვარულზე რამეს? ოლღას ტანჯულ ცხოვრებაზე?

ასევე მინდა გითხრათ, რომ სოფელი თამაკონია ოდაბადე მოსკოვში მოღვაწე ბულატ ოკუჯავასი. იგი ოლღას ბიძაშვილად ერგებოდა. ბულატი იყოს საზოგადო მოღვაწე, მომღერალი, გიტარისტი და ძლიერ განვითარებული პიროვნება. მას პატივს მიაგებდა მთელი მოსკოვი და რუსული საზოგადოება, მისი ელიტა.

ერთი თხოვნა მაქვს, ბატონო რევაზ!

მე მქონდა ბედნიერება მემასპინძლა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ მარატ გიზატულინთან, რომელიც ბულატ ოკუჯავას შემოქმედებას სწავლობს და წიგნები აქვს მასზე გამოცემული.

თავის ნაშრომებში რომ მან შეცდომები არ დაუშვას აუცილებელია ამ პროფესორის მოძებნა.

გთხოვთ თქვენი მოსკოველი ნაცნობების მეშვეობით იქნებ დამაკავშიროთ ამ პიროვნებასთან, რომლის კოორდინატები სამწუხაროდ არ შემომრჩა.

სწორედ მარატ გიზატულინის ჩამოსვლისა და სტუმრობის შემდეგ დავადგინე ჭეშმარიტება და გავაგრძელეთ ძებნა ოლღა და ბულატ ოკუჯავას წინაპრების ადგილ განსასვენებელი ადგილის საძიებლად. ახლა ეს ადგილი დადგენილი მაქვს და ამიტომ მინდა მარატთან დაკავშირება. დავადგინე, რომ ეს ადგილი პატარა თამაკონია, რომელიც კომუნისტებმა გაჭედილის სოფლსაბჭოს გადასცეს მისი ტერიტორიული სიახლოვის გამო.

პატარა თამაკონის სახელად შენარჩუნებულია და მდებარეობს თამაკონის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში მარტვილის კანიონთან ახლოს. ესაზღვრება თამაკონის მაღალმთიან უბანს „შკანთას“.

- გალაკტიონის ცოლი ოლღა ოკუჯავა მარტვილიდან სოფელ თარგამეულიდან ქუთაისში გადასახლებული სტეფანე ოკუჯავას ქალიშვილი იყო. სტეფანეს რვა შვილი ჰყავდა - 6 ვაჟი და ორი ასული. ცოლად პოლონელი ებრაელი ესვა. ეს უკანასკნელი რუსულენოვანი გახლდათ და შვილებმაც რუსული სკოლა დაამთავრეს. გამოხდა ხანი და ეს ქუთაისელი „ურიის ბიჭები (ასე ეძახდნენ დედის გამო) ცნობილ ბოლშევიკ-რევოლუციონერებად იქცნენ. 1937 წელს წითელმა ტერორმა აწ უკვე მაღალი თანამდებობის მქონე ოკუჯავები თითქმის ყველანი დახვრიტა. მოგვიანებით დააპატიმრეს და მინსკის მახლობლად მედვედევის ტყეში დახვრიტეს ოლღა ოკუჯავაც. ცეკას მდივნის მიხეილ ოკუჯავას შვილი იყო მეცნიერი ვაჟა ოკუჯავა (ჩემ დროს თსუ-ს რექტორი გახლდათ), ხოლო ბულატ ვიქტორის ძე ოკუჯავა ადრე თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა და მერე მოსკოვში გადავიდა, დედა სომეხი ჰყავდა, ქართული კარგად იცოდა.

ვისოცკის მსგავსად ბულატი თავის ლექსებს გიტარაზე ამღერებდა და მოსკოვის ახალგაზრდებში პოპულარობაც მოიპოვა, როგორც მწერალი დიდი ვერაფერი იყო.

- მსოფლიო დუმს, ნაბიჯს არ დგამს საქართველოს გადასარჩენად.

რა იქნება ხვალ?

„მალე გათენდება ღამე საზიზღარი?!“

თქვენ თვითონ სვამთ ამ კითხვას, ბატონო რევაზ!

ამ სიტყვების დაწერიდან 25 წელი სრულდება.

ახლა რა აზრისა ხართ?

გთხოვთ უპასუხოთ თქვენივე დასმულ კითხვას.

- საქართველო ბეწვის ხიდზე გადის.

მსოფლიო ძალიან ამღვრეულია.

მესამე მსოფლიო ომის პარმაღზე ვდგავართ.

კიდევ ერთი პატრუქის გაკვრა და ერთ მუშტად შეკრული მუსლიმანური სამყარო საქრისტიანო მსოფლიოს დაერევა.

ახლა, ამ წუთში რუსეთი რომ საქართველოში ტანკებით შემოვიდეს, ჩვენთვის თავს არავინ გამოიდებს. ზღაპარია ყველაფერი... მათ შორის ევროკავშირიც და გაეროც.

ჩვენს ხელისუფლებას დიდი პოლიტიკური ალღოიანობა დასჭირდება, რომ საქართველო არ გაისრისოს.

ღმერთიც უნდა შეგვეწიოს.

მაგრამ მხოლოდ ლოცვის იმედად ნუ ვიქნებით.

საინტერესოა შოთა ნიშნიანიძის წერილი ედუარდ შევარდნაძეს.

ხომ არ იცით როგორი რეაქცია ჰქონდა ფონდირებულ პრეზიდენტს შოთას წერილზე?

- შოთა ნიშნიანიძე ჩემი უპირველესი მეგობარი იყო და პირად საუბარში ჩემთანაც ხშირად უთქვამს, რა გვიქნა ამ ხელისუფლებამ, თავმოყვარე მწერლები ყაჩაღი მილიონერების ხელში მათხოვრებად გვაქციაო.

იმ „წერილზე“ შევარდნაძეს შოთასთვის ოფიციალური პასუხი, რამდენადაც ვიცი, არ გაუცია.

ისე კი, ეწყინებოდა, რა თქმა უნდა.

შედეგი? მალე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან შოთა ნიშნიანიძე მოხსნეს და გიორგი ციციშვილი (?!) დანიშნეს.

მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

- მე მიყვარდა მურმან ლებანიძე, როგორც პიროვნება. მის ლექსებზე მაინც და მაინც არ ვგიჟდებოდი.

შემძაგდა ეს კაცი.

ხომ არ ჩაღრმავებიხართ ამ თემას. ვინ იდგა მის უკან?

თუ მურმან ლებანიძის ნაცოდვილარი იყო მეგრელებზე დაწერილი ლექსი?

- თუ გახსოვთ, მურმანის ამ ლექსს პირველებმა მე და ოთარ ჭითანავამ გავეცით პასუხი.

მურმანის უკან არავინ იდგა.

ეს მისი შეხედულება იყო.

პირად საუბარშიც ბევრჯერ გვიკამათია, ცოტნეს გმირობის არ მჯერაო, მეუბნებოდა.

საერთოდ პოეტიც კაცია და შეიძლება შეეშალოს, მკაცრად ნუ განვსჯით ამისათვის.

მურმანის უკეთესი ლექსები გავიხსენოთ.

კარგი პოეტი იყო.

- იქნებ ლევან ბერძენიშვილზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

რას აბოდებს ეს კაცი?

- მე მგონი, პოლიტიკიდან ლიტერატურაში გადასული ლევანი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გახმაურდეს, თუნდაც ყველა ბრუნვაში მოიხსენიონ.

აბა, რა ჭკუა უნდა მოთხოვო კაცს, რომელიც იტყვის, ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს, არ ვიცნობო.

საერთოდ, ვისწავლოთ ქართველებმა თუნდაც მცდარი კაცის ატანა. მაშინვე ყელში ნუ ვწვდებით ხოლმე. ეშლება? გავუსწოროთ.

მაშინვე დედის გინებაზე ნუ გადავალთ.

ვთქვათ გზადაბნეულია, მაგრამ ხომ ჩვენი, ქართველი გზადაბნეულია.

„ძე შეცთომილი“ გაიხსენეთ სახარებიდან.

- ბატონო რევაზ, ხელისუფლებამ გაქურდა მოსახლეობა. ეს კითხვა უამრავ ადამიანს აინტერესებს.

მეანაბრეებზეა საუბარი.

ხომ არ დადგა დრო ნაქურდალი პატრონს დაუბრუნდეს.

თქვენ რა აზრისა ხართ, ბატონო რევაზ?

ოტია იოსელიანი განსაკუთრებით უყვარდა ქართველ ხალხს.

„დავედით თხლეზეო“ ოტიას სიტყვებია.

ბატონო რევაზ!

არასოდეს მოგვწყინდება ოტიაზე მოგონებების მოსმენა.

იქნებ მოგვიყვეთ რატომ დაენანა ხელისუფლებას მისი სიყვარულით გაცილება უკანასკნელ გზაზე.

თქვენ მას ქართული ლიტერატურის „ოთარაანთ ქვრივი“ უწოდეთ.

ვიცი, რომ ოტიასთან მეგობრობდით. რამეს ხომ არ გაიხსენებდით ახალს?

- ოტია იოსელიანი 75 და 80 წლისთავის იუბილეებზე მთავარი მომხსენებელი მე გახლდით და უკანასკნელ გზაზეც გაცილებისას სამგლოვიარო მიტინგი მე მიმყავდა.

ჩემი ძვირფასი მეგობარი იყო.

მართალი ხართ, მის დაკრძალვაზე ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი არ მოვიდა.

ერმა და ეკლესიამ სათანადოდ დააფასა.

გელათის ტაძრიდან გამოვასვენეთ. ასეთი რამ არც მანამდე და არც შემდეგ არცერთ მოღვაწეს არ ღირსებია.

- „ქართული პროზის რაინდის“ წოდება მოგენიჭათ 2010 წელს.

მე ეს ჯილდო მიმაჩნია უმაღლეს შეფასებად თქვენი შემოქმედების.

მოგვიყევით ცოტა რამ ამ საინტერესო ჯილდოზე.

როდის დაარსდა?

ვინ დაარსა?

ვინ მიიღო პირველად ეს ჯილდო?

რამდენს აქვს მიღებული?

ამჟამად თუ ხდება ამ ჯილდოს მიკუთვნება?

- ჩემი შემოქმედების და საერთოდ მწერლის შემოქმედების უმაღლეს შეფასებად, მე თუ მკითხავ, ჩემო ბურდა, რუსთაველის პრემია მიმაჩნია, რომელიც 1999 წელს მომენიჭა.

რაც შეეხება „რაინდის“ წოდებას, იგი 2001 წელს დაარსდა და დღემდე მწერალთა და ხელოვანთა თითზე ჩამოსათვლელ ჯგუფს აქვს მიღებული. პირველად ოთარ ჭილაძემ მიიღო.

ამ ერთი თვის წინათ ქართული პოეზის რაინდის წოდება მიიღო გორში მცხოვრებმა პოეტმა აკაკი ბიძინაშვილმა პოემისათვის „ტკივილი“. პოემა გალაკტიონის და ოლღა ოკუჯავას ტრაგიკულ სიყვარულზეა დაწერილი.

- ბატონო რევაზ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. ამ საუბარს სიამოვნებით გავაცნობ თქვენი სახელობის ბიბლიოთეკის მკითხველებს თქვენს მშობლიურ თარგამეულში.

25.XII. 2023წ.

ᲛᲔᲡᲮᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ

,,მესხი სწავლითა ქებული"
გრ. ორბელიანი

სახელგანთქმულ პოემა ,,სადღეგრძელოში" ბრწყინვალე პოეტი გრიგოლ ორბელიანი თითო მახვილი ეპითეტით ახასიათებს ქართველ ტომებს. მესხი კაცი კი ასეა წარმოჩენილი: ,,მესხი სწავლითა ქებული!"

ეს ,,სწავლით ქებულობა" მრავალ რამეში მჭვირვალებს: ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლები ამ მხარეს მოუცია ქვეყნისათვის. მხოლოდ ,,ვეფხისტყაოსნის" ბოლოში ჩამოთვლილთაგან რამდენია მესხი: ,,აბდულმესიას" ავტორი შავთელი, ,,დილარგეთიანისა" და ,,ვისრამიანის" შემოქმედი სარგის თმოგველი, ,,ტარიელიანის" ავტორად შერაცხული რუსთველი და, ბოლოს, ,,ვინმე მესხი მელექსე", დაუვიწყარი სიტყვების ავტორი:

გასრულდა მათი ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი,
ნახეს სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა
არის ერთისა წამისა.
ვსწერ ვინმე მესხი მელექსე
მე რუსთველისა დამისა.

ამას მიუმატეთ არაერთი გამოჩენილი სარდალი და მათი გმირობა; ახლა გავიხსენოთ სასულიერო პირები და მათი ,,საქმენი საგმირონია". ჯერ მარტო გრიგოლ ხანძთელი და ძმანი მისნი რას იქმოდნენ ამ საოცარ მხარეში, ახლა ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში კათალიკოსის დონეზე აწეული მაწყვერელი და მაწყვერლობა გავიაზროთ.

და ყოველივე ნათელი გახდება: წარსულით უზომოდ აღტაცებული რომანტიკოსი ამ შემთხვევაში არაფერს აბუქებს, არ ამატებს, არ აიდეალებს. მისი შეფასება მისხის მისხით აფთიაქის სასწორზეა აწონილ-გაზომილი!

ამის კიდევ ერთი დასტურია შესანიშნავი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ავთანდილ ბერიძის რუდუნებითი ნამუშევარი – მესხური ფოლკლორის II უზარმაზარი ტომი (I ტომი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა).

მესხური ფოლკლორის კვლავ გამობრწყინებაში ბატონ ავთანდილს ფრიად და ფრიად დახმარებიან მწერალი და პედაგოგი სოსო გიქოშვილი, სახალხო მთქმელი ანტონ ბალახაშვილი, ისტორიკოსი რეზო ანდღულაძე, პოეტი ვაჟა სამსონიძე.

ტომში ფართოდ არის წარმოდგენილი გამოცემებსა და კრებულებში მიმობნეული მასალები, რომლებიც თავის დროზე მოიძიეს, ჩაიწერეს და დასტამბეს იაონე და კონსტანტინე გვარამაძეებმა, ვასილ კოპტონაშვილმა, ილია ალხაზიშვილმა, სერგი მაკალათიამ, ივანე ბარიკალაშვილმა, ნაზირა ვაჩნაძემ...

ერთობ საინტერესოა ცალკე განყოფილებად წარმოდგენილი ეპიტაფიები და შელოცვები.

შემდგენელი ბატონი ავთანდილ ბერიძე გულდაწყვეტით დასძენს: დანამდვილებით ვიცით, ბევრი სხვა მასალაც არსებობს, ოღონდ ჯერჯეროობით ვერ აღმოვაჩინეთო.

ვაცხადებ: დასტურ ასეა!

მე პირადად კოხტად გაფორმებული და სუფთად გადაწერილი ლექსებით, ლეგენდებითა და თქმულებებით სავსე მთელი ერთი სქელი რვეული ჩავაბარე თბილისის უნივერსიტეტს 1968 თუ 1969 წელს და ის მასალები ამ კრებულში არა ჩანს.

ვინ იცის, ჩემსავით რამდენმა ჩაიწერა მესხეთში მივლინებისას ფოლკლორული ნიმუშები. მათი დაკარგვა არ ეგების!

პოეზიის გურმანი, თუნდაც ის იყოს მურმანი, თვალს ვერ მოარიდებს ასეთ პოეტურ ნაპერწკალს: ,,სიყვარული ორის თავდავიწყებული თამაშია" (14); თუმცა კი ხიფათივით გავურბივარ წერილის მოცულობის გაზრდას, არ შემიძლია არ მოვიყვანო ეს სტროფი:

ვთქვი, თუ სიტყვას ვემსახურო,
ლამის გასკდეს ბოღმით გული;
სად წუხილი, სად მეჯლისი,
სასმისების წკარაწკური! (26)

აშუღ ბაბაის ვერც ამ აღმონათქვამს ჩავუარე გულგრილად:

ამის გამო ჩამიბნელდა ტყე-ველი,
უყარიბოდ რა ვარ, განაწირი მე,
ცრემლთა გუბეს ვეზიარე, ვტირი მე,
დედი, მუნჯი ვიყავ, რატომ ამამეტყველე?! (31)

მთქმელ ნიკოლოზ ზაზაძესაც რა კარგად უთქვამს, რაც უთქვამს:

გაღმა გავალ, გამოგიტან ბეჭედსა,
შალს გიყიდი, დაგიმშვენებ ბეჭებსა (34).

გონება მიწყრება, ძუნწად უნდა მოიხმო ნიმუშებიო, ოღონდ გული არა და არ მანებებს ამას. სული ტკბილია და აი, ესეც, კიდევ ერთი, ჩემი ფიქრით, მარგალიტი სახალხო მთქმელ ვლადიმერ ბერუაშვილის ,,დივანიდან":

არ მიცინის გულის სატრფო,
კისკისით რომ მოვიდა;
ერთ დროსაც რომ მთლად
გამძარცვე
ქონებიდან, ყოფიდან.
მუხანათო, ჰა სიცოცხლეც!
- ვითომც სულ არ ყოფილა,
რაღად მინდა, შენი იყოს,
ღიმილიც არ მაცალე (52).

მთქმელ ბერუაშვილის არაერთ სხვა მწველ ტაეპს დანანებით გამოვემშვიდობები და საღლიცინო-სახუმარო კუპლეტებს წავეტანები:

დედამ კაბა შემიკერა,
მოკლე იყო, ლენტიანი;
ოცდახუთი მერიგება
შენისთანა რეტიანი (75).
არც ვაჟის პასუხია ურიგო:
ამოდუღდი, მარგალიტო,
საგუბარში ჩადექ წყალო!
ლამის გასკდეს ბოღმით გული;
სად წუხილი, სად მეჯლისი,
სასმისების წკარაწკური! (26)
არც ისეთი ლამაზი ხარ,
რა თავს იმადლები, ქალო?! (93)

ზოგ ხალხურ ლექსს აშკრად ატყვია გრ. ორბელიანისა და აკაკის ზეგავლენა. ეს არც გასაკვირია: ზოგი მთქმელი მოესწრო სკოლაში აკაკისა და გრიგოლის პოეზიის შესწავლას. კრებულში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრია მასალა შოთა რუსთველზე, თამარ მეფეზე; საკმაოდაა ასახული ზარზმის რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაცია გურიაში. აქვე დავსძენ: სოფ. შემოქმედში შემოქმედის ტაძრის ეზოში აღმართულია ტაძარი ზარზმა – ზარზმიდან გადმოტანილი ეკლესია. და, ხალხი რომ გადმოსახლებულიყო თურქთა მოწოლის გამო, რა გასაკვირია?! ერთობ საგულისხმოა, რომ სამცხეშიც ყოფილა ტოპონიმი ჩოხატაური ამ ფორმით ჩახატაური (1023).

ამრიგად, კიდევ ერთი ტოპონიმი იხდის ჩადრს: გურული ჩოხატაური მეორეული ტოპონიმია, პირველადია მესხური ჩახატაური, სწორედ ისე, როგორც გურიის დედაქალაქი ოზურგეთი მიღებულია სამცხის დედაქალაქისაგან ოძრხე. ფონეტიკური პროცესი ასე წარიმართა: ოძრხე ოძურხე ოდზურხე ოზურხე ოზურხეთი ოზურგეთი.

ამ დიდ წიგნს უნდა შევკადრო მცირე შენიშვნები: ბევრი ლექსი და ფოტოსურათი მეორდება (348, 349, 351, 353); მოუწესრიგებელია პუნქტუაცია; გოჰარი (9) განმარტებულია, როგორც ძვირფასი, სინამდვილეში მარგალიტია; აფორიზმი ,,ცემა გმართებს გამზრდელისა" (419) რუსთველის კი არაა, არამედ – ვახტანგ მეექვსისა; ასევე აფორიზმი ,,საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს" (421) ,,ვეფხისტყაოსანში" არსადაა, იგი ხალხურია.

ქართველი ხალხი მარად მადლიერი დარჩება ბ-ნი ავთანდილ ბერიძისა და მისი გუნდისა. მათ ხომ კიდევ ერთხელ გვაზიარეს ხალხურ საუნჯეს, რომელსაც დაბერება არ უწერია.

მურმან თავდიშვილი

ოთარ ჭითანავა - 85 ვულოცავთ

ოთხმოცდახუთისა შესრულდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი ოთარ ჭითანავა.

ამ ფრიად ერუდირებული, კეთილაღნადი, უანგარო, ყურადღებიანობით და თავმდაბლობით გამორჩეული კაცის ცხოვრების გზა განათებულია სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი მუხლჩაუხრელი სამსახურის ათინათით.

ახალგაზრდობიდანვე ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ოთარ ჭითანავა ანდამატივით იზიდავდა თანატოლებს და დღესაც არაერთი საზოგადო საქმის წამომწყები და ორგანიზატორი გახლავთ.

ირგვლივ მყოფთ ნიადაგ ზნეობრივ გაკვეთილს აძლევს და ამიტომაც მასთან მეგობრობა ყველას ეამაყება.

წლების განმავლობაში იყო მშობლიური რაიონის - ზუგდიდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდათ და სამოქალაქო საგუშაგოზე პირველი ვიოლინოს ფუნქციას ასრულებს.

გაოცებას იწვევს უკვე სიჭარმაგის ასაკში მყოფი ოთარ ჭითანავას მეხსიერება. როგორც სიჭაბუკეში ახლაც შეუძლია საათობით ზეპირად გითხრათ ოდენ სტრიქონები კი არა, მთელი თავები ქართველ კლასიკოსთა (განსაკუთრებით გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას) ნაწარმოებებიდან. მას, ენციკლოპედიური ცოდნის პატრონს, ხშირად მიმართავენ ამა თუ იმ თარიღის თუ ისტორიული ფაქტის დასაზუსტებლად.

ამ საშური თვისებების გამო ბატონი ოთარი საქართველოს არაერთი აკადემიის ნამდვილი წევრია და საზოგადოებრივ საქველმოქმედო უწყებათა სათავეშიც ხშირად ვხედავთ ხოლმე.

იმდენად უწყინარი და მლმობელი გულის პატრონია, რომ წონასწორობას არასოდეს კარგავს. მის მეგობრებს მხოლოდ ერთადერთხელ გვახსოვს გაგულისებული, როცა ერთმა პოეტმა, ალბათ მისდაუნებურად, მეგრული ენა ცოტა არ იყოს, აგდებულად მოიხსენია.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი, ერთი აქტიური მეციხოვნეა, რომელსაც მამულის ღირსების საგუშაგოზე უკან არასოდეს დაუხევია.

უღალატო მეგობარს, დიდებულ მამულიშვილს და სანიმუშო ოჯახის პატრონს ოთარ ჭითანავას სულითა და გულით ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ამ უსწორმასწორო წუთისოფელში გაძლებას, გაძელქვებას ვუსურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ოთარ!

ოთხმოცდახუთს გილოცავ.

ფეხდაფეხ მოგდევ და მეც მალე გავოთხმოცდახუთდები.

ცოტანი დავრჩით ჩვენი თაობიდან.

იმ დღეს მითხარი: პატრულმა გამაჩერა და სანამ შენიშვნას მომცემდა, ვკითხე, ჩემი ხნისა თუ კიდევ ზის ვინმე საჭესთან-მეთქი. გაეცინა, მიბრძანდით, ბატონო ოთარ, ოღონდ ფრთხილად იარეთო.

„ფრთხილად“ არასოდეს გვივლია მე და შენ.

ჩვენს თავზეც გადაიარა ამ წუთისოფლის ქარბორიებმა.

რაც შევძელით, ცდა არ დაგვიკლია.

სანანებლად ისღა გვრჩება, რომ ყველაზე კარგი ქართული მიწები წაგვართვა მტერმა და მის დასაბრუნებლად „კეთილი ნების მსოფლიო“ თითს-თითზე არ აკარებს.

ცოტა ხანს კიდევ გავძლოთ.

თითო ყვავილი კიდევ დავდოთ წასულთა საფლავებზე, თითო სიტყვით და რჩევით კიდევ შევეწიოთ ამ აბურდულ ქვეყანას.

მერე... ომარ ხაიამის თქმისა არ იყოს, არც მოსვლა უკითხავს ჩვენთვის ვინმეს და არც წასვლას გვკითავს.

შენი ძმა რევაზ მიშველაძე

ესმა ონიანის პოეზიის ჰერმენევტიკული ანალიზი

ესმა ონიანი მრავალმხრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი იყო. იგი გახლდათ უძლიერესი პოეტი, უნიჭიერესი მხატვარი, ესეისტი, მთარგმნელი, . ამჯერად მე მასზე როგორც პოეტზე ვისაუბრებ.

როგორც პოეტი, იგი ქართულ პოეზიაში იმ ხაზის გამგრძელებელი იყო, რომელსაც ფილოსოფიურ /ინტელექტუალურ/ პოეზიას ეძახიან. შესაბამისად, იგი ყველა მკითხველისათვის თანაბრად გასაგები და მისაღები არ იყო. მას განათლებული, ინტელექტუალი მკითხველი სჭირდებოდა და სჭირდება. .ამიტომაა, რომ იგი ჩვენს საზოგადოებაში ისეთი პოპულარობით ვერ სარგებლობს, რასაც ის თავისი გამორჩეული ნიჭიერებით იმსახურებს. ზოგი მისი თაყვანისმცემელი მას „გენიალურს“/რენე კალანდია/ უწოდებს. რაც შეეხება ესმაზე როგორც მხატვარზე, დიდი ხელოვანი რეზო გაბრიაძე მიიჩნევდა, რომ იგი XX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მხატვარია.

როგორც ინტელექტუალურ პოეტს, ესმა ონიანს მიაჩნია, რომ ნამდვილი პოეზია ისაა, რომელიც ჭეშმარიტების სამსახურში დგას. ჭეშმარიტებას უმაღლეს ღირებულებად არისტოტელეც მიიჩნევდა, ოღონდ არისტოტელეს ჭეშმარიტება და ის ჭეშმარიტება, რომელზედაც ესმა ონიანი ლაპარაკობდა ბოლომდე არ ემთხვევა ერთმანეთს. არისტოტელე ცოდნის ჭეშმარიტებაზე, ანუ ობიექტურობაზე, ანუ ადექვატურობაზე ლაპარაკობდა. ასეთ ჭეშმარიტებას გნოსეოლოგიური ჭეშმარიტება ეწოდება. ესმას ჭეშმარიტება კი მხატვრული ჭეშმარიტებაა, ანუ მხატვრული სიმართლეა, მართლის თქმაა, ანუ ისაა, რაზედაც დიდი დავით გურამიშვილი ამბობდა:

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად“.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზედაც ესმა ონიანი საუბრობს, არის - რა არის ადამიანი. ხაზს ვუსვამ- რა არის ადამიანი და არა, ვინ არის ადამიანი. ვინ არის ადამიანი, ეს კითხვა მაშინ ისმება, როცა საქმე ეხება რეალურ, კონკრეტულ ადამიანს. რა არის ადამიანი გულისხმობს ადამიანის არსის, ბუნების, რაობის გარკვევას. ასეთ ადამიანზეა მსჯელობა ლექსში „მე“. ლექსში პოეტი ლაპარაკობს საკუთარ თავზე, რომელიც კვლავ მოსულა ამქვეყნად, აღმდგარა ხორცით /„ავისხი ხორცი“/. „ადამიანად მიმიღო მიწამ“. .

ახლა ვნახოთ, როგორია ეს ადამიანი. რა თვისებები ახასიათებს მას. პირველ რიგში, იგი თავისუფალია, თავისი თავის უფალი. ეს ადამიანის ადამიანობის პირველი მახასიათებელია.როცა ადამიანი თავისუფალი არაა, მას ვერაფრისთვის მოთხოვ პასუხს -ვერც კარგზე და ვერც ცუდზე. საშინელი სამსჯავროს აზრიც ხომ ისაა, რომ ღმერთი ადამიანს თავისუფალ არსებად ქმნის. თავისი თავის უფალი ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ თავს, ქმნის როგორც სიყვარულით და სიკეთით სავსეს. „ადამიანო, შენს წინ ვარ, მიყვარხარ, მიცან“. „მე თქვენ მიყვარხართ, მე თქვენ მიყვარხართ“.

მე შთავბერე და შთავიბერე სიყვარული და ასე შევქმენით „სულთა შეხების უძლიერესი ხელოვნება“, ამბობს პოეტი.

ლექსში „გარდამოხსნა“ ესმა ონიანი ასე მიმართავს უზენაესს, რომლის სიყვარული, როგორც აღვნიშნე, უპირველესია:

„შენი ხელები, საყვარელო, შენი ხელები..
მოწამებრივად თანადგომის, თანგაგების
მწველი წყურვილით
უსათნოეს სიყვარულით განათებულა“.

ღმერთისადმი აღვლენილი გალობასავით ისმის ლექსი „ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების გამო“: „ღმერთო, მომეცი ძალა, მომეცი სიმშიდე,

ღმერთო, დამიფარე, ღმერთო გამიტანე“.

ღმერთს ეძღვნება ლექსი ,რომელშიც პოეტი ასე მიმართავს მას:

„ვკადნიერდები, შეგთხოვ, წყალობას შენგან მოველი,

შენ დაგვიფარე, დაგვლოცე, და გვაპატიე ყოველი“

/აქ იგი ღმერთს თავისი,დედის და დის სახელით მიმართავს/

ხოლო ლექსში „ლოცვა თეთრი გიორგისადმი“ წმინდა გიორგის ასე სთხოვს მორწმუნე პოეტი:

„შენ, წმინდაო გიორგი, გამიხსენი სინათლის, გამიხსენი სიკეთის, სიყვარულის კარიბჭე“ .

ესმა ონიანი ჭეშმარიტად ლირიკოსი პოეტია. იგი წერს, პირველ რიგში, თავის თავზე, თავის გრძნობებზე, განცდებზე, ემოციებზე,პირად შთაბეჭდილებებზე, მის ბავშვობაზე, სოფელზე, ნავთქურით განათებულ ბინაზე... მეთოდი, რომელსაც იგი ამ შემთხვევისთვის იყენებს, თვითდაკვირვების მეთოდია. იგი აკვირდება /იხსენებს/ ბავშვობის სურათებს, ცალკეულ ეპიზოდებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ალამაზებდნენ მის ბავშვობას, პირველ რიგში, ცხადია, დედას. დედა, რომელიც უკითხავს საბავშვო ჟურნალებსა და წიგნებს, მერე მის დას - ირინას. ერთ ადგილას ამბობს: „მე მათ შემოვევლებიო“. დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს მოხუც, ავადმყოფ მამას /„ბოლო წუთამდე იყავი ღირსეულად მომაკვდავი ადამიანი“,და იქვე: „ ღირსეულო, განუკარგავო“. პოეტი ასევე დიდი სიყვარულით იგონებს ბებიასა და ბაბუას. მათდამი დიდ სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს. მთელ მის პოეზიაში უარყოფითი პერსონაჟი არაა. მან არ იცის - რა არის შური, ღვარძლი, ბოროტება. მას ყველა უყვარს, ყველას ეთაყვანება, ისე როგორც ის უყვართ ყველას.

თავის პოეზიაში ესმა არსად არ ამბობს, რომ იგი მხატვარია, დიდებული მხატვარი, მაგრამ თავის თავს მაინც იმით „ამხელს“, რომ ყველაფერს ფერებში, სხვადასხვა რაკურსში ხედავს. რაც შეეხება ფერებს, მე არსად, არცერთ პოეტთან, იმდენი ფერი არ შემხვედრია, რამდენიც ესმასთან. მე მათი დასახელებავ მინდოდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ყველა იმ ფერის ჩამოთვლას, რაც ესმას პოეზიაში გვხვდება, ერთი გაზეთი ვერ დაიტევდა. ამ უამრავ ფერთაგან მხოლოდ რამდენიმე ისეთ უცნაურ ფერს დავასახელებ, აქამდე რომ არ გსმენიათ:

წაქისფერი, კაჟისფერი, ფისისფერი, ხახვის ფუჩეჩის ფერი, ჟანგისფერი, ფშატისფერი, ტყლიპისფერი, ხმიადისფერი და მრავალი, მრავალი სხვა.

ესმა ონიანი სვანია და ამაყობს თავისი სვანობით.„მეამაყება ჩემი გვარი, სვანური გვარი“, შესანიშნავი ლექსებიც აქვს მიძღვნილი სვანეთისადმი. ერთ-ერთი მზისადმი მიმართვაა:

„მზეო, დიდო მზეო,
მზეო საოცარო,
მზეო,სალოცავო,
ჩვენო მბრძანებელო“.

ესმა აქებს სვანურ სიმღერებს -ვაჟკაცურს, ძლიერს, ომახიანს, მრავალხმიანს. „ვმღერით ჩვენს სიმღერებს, სიმღერებს ცეცხლიანს

ხან მძიმედ მდინარეთ, ხან ნაჭედ-ვერცხლიანს“.,

ესმა წერს სვანურ ოქრომჭედლობაზე, ხეზე კვეთის ხელოვნებაზე და ა. შ.

გავთლით ხეს თუ
ოქროს გავჭედთ,
ჩვენ ძლიერ სულს
ზედ დავაჩნევთ“.

ესმა ონიანს აქვს ბრწყინვალე საბავშვო ლექსები. მათ უკვე საგანგებო ინტელექტის მკითხველი არ სჭირდება. მას ყველა ასაკის ადამიანი /პირველ რიგში, ბავშვები, რასაკვირველია/ წაიკითხავენ. ყველა ეს ლექსი იკითხება ლაღად, სიამოვნებით. დაწერილია ბავშვის ფსიქოლოგიის საუკეთესო ცოდნით. აქ ყველაფერი ზეიმობს, ცელქობს, თვით რითმებიც კი, ხტუნვა-ხტუნვით, თამაშ-თამაშით მიჰყვებიან ერთმანეთს. ესეც ესმას ნიჭიერების კიდევ ერთი გამოხატულებაა. როგორც ჩანს, ესმას ბავშვების გულისთქმაც ზედმიწევნით ესმის და ცნობისწადილიც /„ესმას ესმა“/.

ცალკე განხილვას მოითხოვს მისი თარრგმანები, განსაკუთრებით კი მისი ესეები. ამ ესეებში ზედმიწევნით კარგად ჩანს ესმას საოცარი ნიჭიერება, მისი აზრი პოეზიაზე, ხელოვნებაზე, კულტურაზე, მათ მოღვაწეებზე.

ესმა ონიანს აქვს მისთვის საყვარელი ადამიანებისადმი მიძღვნილი ლექსები. ესენი არიან ფიროსმანი, ტერენტი გრანელი, გალაკტიონი, ოთარ იოსელიანი, გურამ რჩეულიშვილი, მანანა გედევანიშვილი.

ესმა ონიანის პოეზია სავსეა ახალი მხატვრული სახეებით, შედარებით, ეპითეტებით მეტაფორებით, ჰიპერბოლებით, რაც მისი პოეზიის მაღალმხატვრულობის დასტურია.

მიუხედავად იმისა, რომ ესმა ონიანი საკმარისად რთულად გასაგები ავტორია და მას, როგორც ზემოთ ითქვა, სათანადოდ მომზადებული მკითხველი სჭირდება, მასზე ბევრი რამ არის დაწერილი. ამ წერილების ავტორები ცდილობენ, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდნენ ამ დიდებული ქალბატონის ნააზრევს. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. შესაბამისად, მისი ბოლომდე გაგება მომავალ თაობებს მოუწევს. რაც ხანი გავა, რაც მეტი ლიტერატურის მკვლევარი დაინტერესდება ესმას ფენომენით, მით უკეთ წარმოჩინდება მისი „სიდიადე“, მით უკეთ გასაგები იქნება მისი ბრძნული შეგონებები, მით უფრო ამაღლდება და პოპულარული გახდება მისი სახელი. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ დრო მის სასარგებლოდ იმუშავებს!

რევაზ ბალანჩივაძე,
პროფესორ ემერიტუსი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

ლადო კახაძე - 70

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლადო გრიგოლის ძე კახაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ლადო!

ჩვენო უღალატო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

სრულიად საქართველო, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც თანამედროვე ქართული მედიცინის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გამორჩეული მეან-გინეკოლოგი, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის თვალსაჩინო სპეციალისტი იყავით. სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის კლინიკურ ორდინატორად, სტუდენტთა საკონსტრუქტორო - სამეცნიერო საკვლევი ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელად, რესპუბლიკური დიაგნოსტიკური ცენტრის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელად, სამედიცინო ფირმა „ლაფორტუნატოს“ პრეზიდენტად, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი-ბისიაის“ კონსულტანტად, სამედიცინო ფირმა „ოქსფორდ-მედიკალ ჯორჯიას“ კონსულტანტად, საქართველოს წმინდა ნინოს სახელობის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ. დიახაც რომ, თქვენი სახელი დაკავშირებულია თანამედროვე ქართული მედიცინის მიღწევებთან, რაც დიდად გვახარებს.

ამავე დროს ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეც ბრძანდებით. სხვადასხვა დროს არჩეული იყავით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ, საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციის პრეზიდენტად, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრად, კრიმინოლოგიური აკადემიის საპატიო აკადემიკოსად, თსსუ საპატიო დოქტორად.

ამჟამად არჩეული ხართ საქართველოს პარლამენტის წევრად, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტეის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, განათლების კომიტეტის წევრად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის წევრად და მთელ ძალასა და ენერგიას მშობელი ხალხის უანგარო და თავდადებულ სამსახურს ახმართ.

გვიხარია, ძალიან გვიხარია, რომ ასეთი ერისკაცი, მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონის მქონე პიროვნება ჩვენი სამწერლო ოჯახის წევრიცაა.

ქართულ მწერლობაში 1991 წელს შემოაბიჯეთ, როცა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსი „მეეზოვე ეზოს გვის“. მას შემდეგ თქვენი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „ფიქრები გაბზარული სარკის წინ“, „გმადლობ, ბოდიში“, „ანამნეზის ამნეზია და ამნეზიის ანამნეზი“, „სალამი, იარაღო, ანუ ერთხელ წამიკითხე“ გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა, რადგანაც ამ ლექსებიდან საოცარი სითბო და სიყვარული იღვრება. მათი ავტორი ხომ ღვთიური მადლისა და მირონის, სიკეთისა და კეთილშობილურ რაინდად გვევლინება, რაც ასე აკლია მეტისმეტი პრაგმატიზმით აღსავსე სამყაროს. თქვენი ლექსების ლირიკულ გმირს გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ იმსხვრევა შურისა და ღვარძლის შხამიან კედლებზე სათნოების მახვილები და მზადაა თავად ჩაებას ამ უთანასწორო ომებში. ქართველთა გათითოკაცებისა ეშინია და ერსა და ბერს გაერთიანებისაკენ, ერთ ხორცად და ერთ სულად შეკვრისკენ მოუწოდებს...

ბატონო ლადო!

თქვენი მრავალწლიანი და შეუბღალავი მოღვაწეობა ღირსების ორდენით - საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიით, მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის რაინდის წოდება, არჩეული ხართ თბილისის საპატიო მოქალაქედ.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნუნუ დალაქიშვილი - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ნუნუ გრიგოლის ასული დალაქიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ნუნუ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1972 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები პერიოდულად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

გულწრფელობა, ემოციურობა, სათქმელის ცხადად და ლაკონურად გადმოცემის უნარი გამოარჩევს თქვენი მინიატურებისა და ჩანახატების წიგნს „უფრთო ჩიტებს“, რომლებშიც სრულად წარმოჩინდა თქვენი პოეტური ბუნება, რომანტიკულობა, ადამიანის სულში მხოლოდ სიკეთისა და სათნოების ძიების დაუოკებელი სურვილი, ემოციურობა...

თქვენი მწერლური ცხოვრების მთავარ წიგნად კი „წვიმის ქალი“ იქცა მოთხრობების, ნოველების, პუბლიცისტრული წერილებისა და ჩანახატების კრებული, რომელშიც დამაჯერებლად, მწერლური სიმართლით აისახა ჩვენი გუშინდელი დღეების ტრაგიზმითა და კატაკლიზმებით სავსე ყოფა, ყოფა იმ ქვეყნისა, რომელმაც დამოუკიდებლობა კი მოიპოვა, მაგრამ ამ ბრძოლას მთელი ძალა და ენერგია ისე შეალია, რომ კინაღამ ემსხვერპლა გავეშებული, პირსისხლიანი მტრების შემოსევას.

არაერთი ლექსის, თეატრალური რეცენზიისა თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორი ხართ.

ათწლეულები ეწეოდით ნაყოფიერ საზგადოებრივ მოღვაწეობას: მუშაობდით საბავშვო ბაღში პედაგოგად, ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ ლიტმუშაკად, გაზეთ „2ხ2”-ის კორესპონდენტად, ლექტორად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც რადიოჟურნალისტიკის საფუძვლებს ასწავლიდით სტუდენტებს.

და მაინც, ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალწლიანი საქმიანობა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში, სადაც რადიოს „ოქროს ფონდის“ მკვლევარ-რედაქტორი იყავით და ყველაფერს აკეთებდით საიმისოდ, რათა ისეთი დიდი ქართველების ხმა, როგორნიც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვანო სარაჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ექვთიმე თაყაიშვილი, სხვანი და სხვანი ჩვენი ყოფის, ჩვენი არსებობის თანამდევი სულები ყოფილიყვნენ. ამიტომაც გვესახებით ქართული კულტურის უანგარო მოღვაწედ. თქვენ ხომ თითქმის შეუძლებელი შესძელით და, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით მოახერხეთ უნიკალური წიგნის „საუკუნის ხმების“ გამოცემა, რაც საყოველთაო პატივისცემით განაწყობს თვქენდამი ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სულიერების, ქართული გენის ნებისმიერი გამოვლინება. სწორედ ამიტომაც სრულიად დამსახურებულად მოგენიჭათ დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები.

ქალბატონო ნუნუ!

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოამაგე ქალბატონს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რეზო ნაჭყებია 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო ნიკოლოზის ძე ნაჭყებია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო რეზო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან დიდებულ პროზაიკოსს, პიროვნებას, მამულიშვილს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი სამწერლო კურთხევა 1974 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ პირველი მოთხრობები დაბეჭდეთ. დებიუტი ფეხბედნიერი გამოდგა და ქართულ სალიტერატურო სამყაროს ახალი ნიჭიერი მწერლის დაბადება ამცნო. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ხვდება თქვენს პუბლიკაციებს.

თქვენი რომანები, ისეთები, როგორიცაა „ჯუჯა ალვის ხეები“, „მეზობელი ციცარი“, „სადგურიდან სადგურამდე“, „ჩვილის სიზმრები“, „რობიზო“, მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „ცეცხლის კაცუნების დღესასწაული“, „პორტრეტები“ თქვენი ნიჭიერებისა და სახეობრივი აზროვნების მშვენიერი დასტურია. ამ ნაწარმოებებს ხომ დიდი ადამიანური ვნებანი და ტკივილები, დახვეწილი იუმორი გამოარჩევს, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედთ ხელეწიფებათ. ტიპებისა და ხასიათების მონუმენტური ძერწვის აღიარებული ოსტატი ხართ, რაც ნამდვილი მწერლობის თანამდევი ნიშან-თვისებაა. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი დოკუმენტური მოთხრობები, რომლებშიც სიყვარულით ხატავთ ქართული მწერლობის კორიფეების ირაკლი აბაშიძის, ოტია იოსელიანის, რეზო ჭეიშვილის, ოთარ მამფორიას მონოლითურ სახეებს.

თქვენი პიესები „სახლი ღრუბლებში“, „მატარებელი ხუთ წუთში გავა“, „დათიკოს გამოსვენება“ წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

წლების განმავლობაში მუშაობდით საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების რეფერენტად, ქუთაისის კულტურის ცენტრის დირექტორად, ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, ქუთაისის პრესის სახლის დირექტორად და ყველგან პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით, სათნოებითა და მოყვასის სიყვარულით გამოირჩეოდით.

თქვენი მრავალწლიანი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ბატონო რეზო!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



"საგურამოს" პრემიის სერიით ილია ფონდმა და საგურამოს ილიას სახლ-მუზეუმმა გამოსცეს სოსო სიგუას ლიტერატურულ - კულტუროლოგიური ნაწერების ათტომეულის პირველი ტომი - "კულტუროლოგიის საფუძვლები", 770 გვ.

სერიის მთავარი რედაქტორია ილიას სახლ- მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე.

დაბეჭდა გამომცემლობა "საარმა"/ დირექტორი ლევან თითმერია/.



თემურ შავლაძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერებითა და მწერლური პატიოსნებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც მუდამ ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებას.

თემურ შავლაძე დაიბადა 1950 წლის 3 მაისს თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1967 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1972 წელს.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით ეცნობოდა შემოქმედის ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „მთვარის ზამბახები“, „ბედის სიმები“, „რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი“, „შავრაძოვანი“. ეს ინტერესი არ იყო შემთხვევითი. ამ კრებულებიდან ხომ მათ სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედი ესაუბრებოდა, რომელმაც ქართულ სააზროვნო მეტყველებისათვის სრულიად ახალი პოეტურ-სამყაროსეული სივრცე გააჩინა, ორიგინალური მსოფლმხედველობითა გინა მსოფლგანცდით რომ გამოირჩეოდა. ამ კრებულებში შესული ლექსები ფიქრით, აზრით, მეტყველებით ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართულ პოეზიაში, რასაც თან პოეტის ნიჭიერებაც აქვითკირებდა.

თემურ შავლაძე ავტორი იყო მეტად საინტერესო წიგნისა „პოეზია- მეოთხე განზომილება“, რომელშიც შევიდა მისი ესსეები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პოლემიკური და პუბლიცისტური სტატიები. მანვე შეადგინა და ცალკე წიგნად გამოსცა ქართული ისტორიული მოთხრობების კრებული.

თემურ შავლაძის წიგნის „რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი“ მიხედვით ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში 1996-2002 წლებში იდგმებოდა სპექტაკლი „ხმა იდუმალი“.

სულიერი არისტოკრატიზმი, დახვეწილი ინტელიგენტურობა გამოარჩევდა მუდამ ამ შესანიშნავ შემოქმედს, რომელთანაც მეგობრობა და ახლო ურთიერთობა პატივი იყო თითოეული ჩვენგანისთვის, ამიტომაც გვტკივა ასე მისი მოულოდნელი აღსასრული.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ თემურ შავლაძე - მწერალი, მოღვაწე, ერისკაცი, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია XX-XXI საუკუნეების ქართულ პოეზიას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მამა იოანე

დედაჩემს

შენ მომანიჭე ცხოვრების ძალა,
ჩემში შთაბერე სული უმანკო,
ყველაზე მეტად შენ უწყი სწორედ
რომ არვინ არის ქვეყნად უნაკლო.
ჩემში ხედავდი მომავლის სხივებს
და ფიქრს ანდობდი ღამეს მთვარიანს,
სადაც არ უნდა წავიდე მუდამ
მე მხოლოდ შენკენ მომიხარია.
ახლა სიბერემ შემოგიტია
და ხშირად მხვდები თვალცრემლიანი,
არ მავიწყდება წარსული წლები
არ მავიწყდება გზა ეკლიანი.
დღემდე მივსტირი ბავშვობას ჩემსას
და გულში ცეცხლი მინთია ჯერაც
დედაშვილობას არ აქვს საზღვარი
ამ სასწაულით ვცხოვრობ და მჯერა.

ტრისტან გეგენავა

დავითი მოდის

ცა არის სუფთა, არც თოვს და არც წვიმს,
ჩემი მამული - წუხილი გულთა,
დუმს განაბული.
და უცებ თვალწინ, მწვერვალზე მთების
ციდან ეშვება დიდი ნათელი.
ენუგეშება გულებს გათელილს
ვარდის ფურცლების კორიანტელი.
გაშლილი ფრთებით ჩამოგავს არწივს,
სახე აქვს კაცის და მზერა მკაცრი.
ვერავინ უშლის და ხარობს ამით.
მადლობა უფალს!
ამ სასწაულში მე ვხედავ დავითს.
დიდება დავითს!
ჩვენი წარსული
ვინაც ქართული ნათლით მოჰფინა,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
მტერი არ დარჩა ცრუ და ორპირა.
აწ გარდასული, გმირად წასული,
ვით სასწაული ჩვენსკენ მოფრინავს.
როგორ ელვარებს მისი მახვილი,
მისი ხმალი და მისი ფარაჯა,
მისი ქადილი ზღვაა მღელვარე,
შემართულია მისი დამბაჩა.
სხვა გზა არა ჩანს!
თავისუფლების,
ერთიანობის
დგება დარაჯად.
ქართველნო, სწორდით!
დავითი მოდის!
დავითი მოდის!
ერი გადარჩა!

აკაკი ბიძინაშვილი

მგონი, გადვურჩით!

ესეც ევროპა, ესეც ევროპა!
ძმით შევეფიცეთ, აზრით შევერთდით...
ქართული ყანა რუსმა ვერ მომკა,
მასთან ბრძოლაში, არ ვართ ჩვენ ერთი...

დიდი იმედით, დიდი ნუგეშით,
ვიცი, ჩაცხრება, ძმათა ომები.
გაიზრდებიან მშობლის ბუდეში
არწივები და ხვადი ლომები...
კვლავ ვიამაყებთ ჩვენი ხვალის დღით,
ისევ იფეთქებს წყარო ამურის,
იმ გამარჯვებებს ვერვინ დაითვლის,
კავკასიონის მთებს რომ გადუვლის.

არ მიგტვატოვებს ომში არავინ,
ქარი წაიღებს სხვათა ბრძანებას.
ძმობა, ერთობა დაუფარავი,
მშვიდობის დროში აფრიალდება.

ისევ მაღალი ღმერთის იმედით,
მოვა სიმშვიდე ამ ჩვენს მამულში,
გამარჯვებათა კარზე მივედით,
დათვს და გველეშაპს, მგონი, გადვურჩით!

მაია კახიძე

ეს ჩემი გულია...

რა იყო ის ღამე ფეხზე რომ გათენდა,
როგორი ფარსია ეგ თქვენი ღიმილი,
ის ღამე იმ დილას ან რატომ დანებდა,
სიგიჟე მოვარდა, რამხელა ტკივილი.
წარსული წავშალე, ჩამქრალი იმედი,
ლირივით უნდოა მზერა და თვალები,
ნეკნიდან წასული პარტერში ჩავედი,
ცხოვრების ფიესტა... შავია ფარდები.
მე სულ არ მჭირდება ღიმილი ქარცია,
ეგ ცუდი პიესა ჩამოხსნეს თქვენსავით,
სხვადასხვა დემონის სამოსი გაცვიათ,
ბროლები ისეთი, დამწვარი მზესავით.
მიცანით?-ისა ვარ, გული რომ მოუკლეს,
რა იყო ის ღამე, სულდარდის ფერება,
მეფეო, მე გეტყვი: ცოდვანი აგიკლებს,
კონდაკი დაშალა შეშლილის ხელებმა.
ეს ჩემი გულია ასე რომ ფრიალებს...

მედიკო ჯაიანი

***

რა ტკბილია, რა თბილია ჩემი დედულ-
მამული,
დამაჭრული შემოდგომით, დაპეპლილი
ზაფხულით,
მაფშალიით, ოჩოკოჩით, სიმღერებით
ხალხურით,
სევდიანი ისტორიით, ბობოქარი ეგურით,
„სისა ტურას“ შეძახილით, ტკბილზე
ტკბილი ქართულით,
ხვიჩა-ხვიჩა მურუცხებით, ტყაშმაფებით
მზაკვრულით,
უძველესი კოლხთა მეფით, აიეტით
განთქმულით,
ზრდილობით და თავდაჭერით,
მხიარული მაყრულით,
სკვამი ცირას სიყვარულით თუთარჩელა ღამით,
ყვავილებზე სამკაულად შერჩენილი
ნამით,
მნახველის თვალს რომ იტაცებს
ანდამატის ძალით,
ღმერთო, მომეც იმის ნება დიდხანს
დავტკბე ამით!
გავიგონო „ნანა სკუა“ თქმული ტკბილი
მეგრულით,
დიდმა საბამ რომ უწოდა მგალობელთა
ჟღურტული...
აქ შრომობდა, აქ იბრძოდა ჩემი წინაპარი,
ღმერთო, სული გაუნათლე, გადასწერე
ჯვარი!

თამარ გოგიძე

***

ამ საღამოსაც უშენოდ თოვდა,
უშენოდ სულ სხვა ფერი აქვს ფიფქებს,
სხვაგვარი ფეთქვით გული ითხოვდა,
მოგონებები ეხატა ფიქრებს.

ამ საღამოსაც ზუზუნით ქარი
ეხეთქებოდა გულის იარებს
და მე ვდნებოდი, ვით დილის ცვარი,
თითქოს ფიქრები გავიმზიანე...

ვერ მიმხვდარიყვნენ ფიფქები დარდებს,
მეც არ შევჩივლე, უშენოდ რას ვგრძნობ,
არც ფიფქს და წვიმას, არც დღეს, არც ღამეს,
მე შენით ტკივილს ისევ შენ განდობ...

ალბათ დილაზეც უშენოდ მოთოვს,
ამ დროს სუნთქვაც კი უფრო რთულია,
გული შენს სითბოს მე ისევ მომთხოვს,
კვლავ დამნაშავე ჩემი გულია.

...დილასაც ისევ, უშენოდ თოვდა,
სულ სხვა ელფერი დაჰკრავდა ფიფქებს...

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი მწერლის ვაჟა ჩორდელის და
გულო მელაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მწერლის გზეთი
№1
ფასი 150 ლარი
1 იანვარი - 31 იანვარი
2024
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009